პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 შაბათი 16 ივლისი № 164 (16904) ფასი 2 კაპ. 1977

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „1977 წლის მოსავლის აღებაში სტავროპოლის მხარის იპატოვოს რაიონული პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილების შესახებ“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა 1976 წელს ქვეყნის მოწინავე მექანიზატორებისადმი წერილში ყურადღება მიაპყრო იმას, რომ „სოფლის მეურნეობაში კარგი მოსავლის მოწევისა და მისი წარმატებით აღების მთავარი წინამძღვარია სამუშაო დროის დაფასების უნარი... მოსავლის აღება საუკეთესო ვადებში და უდანაკარგოდ, ყველა სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს მაღალხარისხოვნად შესრულება — ეს დიამნშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანაა, იგი დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას მოითხოვს“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ხელმძღვანელობს რა ამ რჩევით, იპატოვოს რაიონული პარტიული ორგანიზაციაი დიდ მუშაობას ეწევა 1977 წელს მოსავლის დროული და ხარისხოვანი აღების უზრუნველყოფისათვის.

ჩაებნენ რა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეათე ხუთწლედის მეორე წლის გეგმების წარმატებით შესრულებისა და დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა კარგი მოსავალი მოიწიეს და ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 200 ათასი ტონა მარცვლეული გეგმით გათვალისწინებული 120 ათასი ტონის ნაცვლად.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში რაიონში უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებენ მოსავლის აღების სამუშაოთა ორგანიზებულ ჩატარებასა და მარცვლეულის დანაკარგების თავიდან აცილებას და სპეციალისტების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აქტივის ფართო მონაწილეობით, მოწინავე გამოცდილების ღრმა შესწავლისა და წინა წლებში არსებული ნაკლოვანებების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავეს მოსავლის აღების კომპლექსური გეგმა. ამ გეგმით გათვალისწინებულია მოსავლის ცალცალკე აღების წესის ფართო გამოყენება, მთელი პურის ღვარცლებად მკა ოთხ სამუშაო დღეში, აკრეფა და გალეწვა 8-9 დღეში. მოსავლის სწრაფად და მაღალხარისხოვნად აღებისათვის გამოყენებულია ყველა რეზერვი.

მიმდინარე წლის მოსავლის აღების ორგანიზაციაში სიახლე ის არის, რომ ყველა მეურნეობის მინდვრებში ფართოდ იყენებენ პროგრესული ტექნოლოგიას, რომელიც შეიმუშავა სრულიად რუსეთის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (როსტოვის ოლქის ქალაქი ზერნოგრადი). რაიონში შექმნილია 54 მოსავლის ასაღები-სატრანსპორტო რაზმი. ყოველ მათგანში არის 16-20 კომბაინი, 20-25 ავტომობილი და საჭირო რაოდენობის ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები. თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მომუშავე 3-4 რაზმი კომპლექსურად და ნაკადურ საფეხურებზე ასრულებს მოსავლის აღებისა და გადაზიდვის, ნამჯისაგან მინდვრების გაწმენდისა და ნაწვრილის ოთშის ტექნოლოგიური ოპერაციების მთელ ციკლს.

ტექნიკის ასეთმა კონცენტრაციამ შექმნა იმის პირობები, რომ ზუსტად და კონკრეტულად იხელმძღვანელათ მოსავლის აღების პროცესისათვის, ოპერატიული კონტროლი გაეწიათ სამუშაოთა ტექნოლოგიისა და ხარისხისადმი, ყველა ტექნიკური სამუალების ფართო მანევრირების შესაძლებლობა ჰქონოდათ შექმნილი ვითარების შესაბამისად.

მოძრავი სარემონტო სახელოსნოებით, შესადუღებელი აგრეგატებით, ავტოგამწყობებითა და სათადარიგო ნაწილების საჭირო კომპლექტით აღჭურვილი ტექნიკური მომსახურების სპეციალიზებული რგოლების შეყვანა რაზმების შემადგენლობაში საშუალებას იძლევა სწრაფად აღმოფხვრან უშუალოდ საველი პირობებში წარმოშობილი უწესიერობა და მინმდამდე შემცირონ გათენების მიზეზით ტექნიკის მოცდენა.

რაზმში არსებული საყოფაცხოვრებო მომსახურების რგოლები აგრეგატების მუშაობის ადგილებზე უზრუნველყოფენ მკის მონაწილეთა რეგულარულ კვებას და ექმნიან ნორმალური დასვენების პირობებს. ამან შესაძლებელი გახადა შეეცვალათ სამუშაო დღის რეჟიმი და ყველგან გადასულყოფილნენ ცვლიანი გახტებით მუშაობაზე.

მოსავლის აღებასთან ერთად რაიონული პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრშია პურის დამზადების საკითხები, წარმოიქმნა დიდი მუშაობა, რათა თავიდან აიცილონ მარცვლეულის დანაკარგები ყველა ეტაპზე მინდვრიდან დამამზადებელ პუნქტამდი.

მოსავლის ასაღებ სამუშაოთა გადამწყვეტ უბნებზე პარტიული გავლენის გასაძლიერებლად მოსავლის ასაღებ-სატრანსპორტო რაზმების, ავტოკოლონების კოლექტივებში და კალოებზე შექმნილია დროებითი პარტიული და კომკავშირული ჯგუფები. შეიმუშავეს და მკის თითოეულ მონაწილეს გაეცნეს სოციალისტური შეჯიბრების, შრომის ანაზღაურების პირობები, მორალური და მატერიალური წახალისების ღონისძიებანი. შეჯიბრების საჯაროობას, მოწინავეთა მოგზაურობებისა და მათი მიღწევების გავრცელებას უზრუნველყოფს ოპერატორებისა და პოლიტინფორმატორების აქტიური საქმიანობა, სპორტულ ფურცლებისა და „ილვების“ გამოშვება, რაიონული გაზეთის მასალები, ადგილობრივი რადიოს გადაცემები. შეჯიბრების შედეგებს ყოველდღიურად აჯამებენ.

მოსავლის აღების მიმდინარეობა ცხადყოფს, რომ რაიონის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მაღალეფექტიანია და უზრუნველყოფს ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას. ამნაირ რთულ პირობებში საშემოდგომო და საგაზაფხულო თესვითიანი კულტურები მთელ 135 ათას ჰექტარ ფართობზე მომკილია 80 საათში. თითოეული სამკალი აგრეგატის საღამოობისო გამომუშავებამ საშუალოდ 60 ჰექტარი შეადგინა. მასობრივი ლეწვის პირველი სამი სამუშაო დღის განმავლობაში ღვარეულები აღებულია 53 ათას ჰექტარზე. კომბაინის საღამოობისო გამომუშავებამ საშუალოდ რაიონში 16,2 ჰექტარს მიაღწია. გალეწილია 119 ათასი ტონა მარცვლეული და სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 40 ათასი ტონა.

იპატოვოს რაიონის გამოცდილების მნიშვნელობა ის არის, რომ იგი გვიჩვენებს, თუ ტექნიკის მწარმოებლების ზრდის, მოსავლის აღების ადგილის შეძლირების რა უდიდეს შესაძლებლობებს შეიცავს მოსავლის აღების სამეურნეოთა სწორი ორგანიზაცია, წარმოებაში პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოაწონა იპატოვოს რაიონული პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილება 1977 წელს მოსავლის აღების სამეურნეოთა მომზადებასა და მოწყობაში და ურჩია პარტიის რაიონული კომიტეტებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებს, სოფლტექნიკის, ბორბროდოექტების საწარმოების, სატრანსპორტო ორგანიზაციების პარტიული ორგანიზაციებს, საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს ყველგან და ფართოდ გამოიყენონ ეს გამოცდილება მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების აღებისა და დამზადების დროს.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საკავშირო „სელხოზტექნიკას, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ იპატოვოს რაიონის გამოცდილების ყოველმხრივი მხარდაჭერა და პრაქტიკული დახმარება გაწიონ მის გავრცელებაში რაიონულ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „რესპუბლიკის მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის ნუშაკთა პატრიოტული ინიციატივის შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სახელოვანი შრომითი ტრადიციების ერთგული საქართველოს მეჩაიეები და ჩაის მრეწველობის მუშაკები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადებისა და გადამუშავების გეგმებს. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ჩაის კრეფის საშუალო წლიურმა მატებამ შეადგინა დაახლოებით 20 ათასი ტონა, ანუ 6 პროცენტი. 1976 წელს, კერძოდ, მოიკრიფა 356,2 ათასი ტონა ხარისხოვანი ფოთოლი, რაც 80 ათასი ტონით მეტია 1972 წელს მიღებულთან შედარებით.

რესპუბლიკის მეჩაიეები წარმატებით იღებენ მოსავალს ამ საიუბილეო 1977 წელსაც. უკვე მოკრეფილია 218 ათას ტონაზე მეტი ჩაი, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებს 37,9 ათასი ტონით აღემატება. წლიური გეგმა-ვალდებულება 60,7 პროცენტით არის შესრულებული. პირველი ხარისხის ნედლეულის ხვედრითი წონა 77,2 პროცენტს შეადგენს.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ აძლიერად რესპუბლიკის ყველა მეჩაიეობის რაიონში არის იმის რეალური შესაძლებლობანი, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს ჩაის კრეფის ტემპი, გაიზარდოს ჩაის ნედლეულის წარმოების, დამზადებისა და გადამუშავების მოცულობა. ითვალისწინებენ რა საბჭოური წარმოების ჩაიზე გაზრდილ მოთხოვნილებას, აჭარის ასსრ მეჩაიეებმა და ჩაის მრეწველობის მუშაკებმა გულდასმით აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გამოიჩინეს შესანიშნავი ინიციატივა — მომდინარე წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად მოკრიფონ და გადაამუშაონ ნაკისრი ვალდებულების დამატებით სამი ათასი ტონა, ხოლო სულ სეზონში — 54.220 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი.

ამ პატრიოტულ ინიციატივას დიდი აღმავლობით დაუჭირეს მხარი იფხაზეთის ასს რესპუბლიკის მეჩაიეებმა, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს დამეტებით მოკრიფონ 2.800 ტონა და დაამზადონ სულ 70 ათასი ტონა ფოთოლი, მახარაძის რაიონისამ შესაბამისად — სამი ათასი ტონა და 65.500 ტონა, ზუგდიდისამ — სამი ათასი ტონა და 52.630 ტონა, ასეთივე ვალდებულებები იკისრეს რესპუბლიკის სხვა რაიონების მშრომელებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა მეჩაიეებისა და ჩაის მრეწველობის მუშაკების ინიციატივა, რომლებმაც აჭარელთა მაგალითისამებრ იკისრეს ჩაის ფოთლის კრეფის დამატებითი ვალდებულებანი. საქართველოს კომპარტიის მეჩაიეობის რაიონების საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს წინადადება მიეცათ ვანიხილონ აჭარელ მეჩაიეთა ინიციატივა და გამოავლინონ დამატებითი შესაძლებლობანი ჩაის ფოთლის კრეფის ტემპის გაძლიერებისა და მისი დამზადება-გადამუშავების მოცულობის გადიდებისათვის. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული გაზეთების რედაქციებმა უფრო ფართოდ უნდა გააშუქონ, თუ როგორ ასრულებენ მეჩაიეები საიუბილეო წლის ვალდებულებებს.

დადგენილებაში გამოთქმულია რწმენა, რომ მეჩაიეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ჩაის მრეწველობის მუშაკები არ დაიშურებენ ძალ-ღონესა და ენერგიას, რათა შეასრულონ სამპატიო ამოცანა — მაქსიმალურად გაზარდონ საბჭოური ჩაის წარმოება, და ყოველ ღონეს იხმარენ, რათა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავი აღნიშნონ ახალი შრომითი მიღწევებით, მოკრიფონ რაც შეიძლება მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, დროულად და კარგად გადამუშაონ მოელი მოსავალი.

• • •

აჭარის ასს რესპუბლიკის მეჩაიეთა პატრიოტული თაოსნობა სწრაფად გავრცელდა. მას მხარი დაუჭირეს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის მეჩაიეებმა და ჩაის მრეწველობის მუშაკებმა. მათ გადაწყვეტილი აქვთ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის დღეებში, აჭარელთა მაგალითისამებრ, გაძლიერონ ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი, ამაღლონ ნედლეულისა და მზა პროდუქციის ხარისხი, უდანაკარგოდ მოკრიფონ და გადამუშაონ მოელი მოსავალი.

დამკვრელურად შრომობენ ამ დღეებში **ლანჩხუთის რაიონის** მეჩაიეებიც. მათ უკვე დაამზადეს 12 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ფოთოლი და პირობა დადეს, რომ ვალდებულების დამატებით კიდევ **1300 ტონას** დაამზადებენ.

წალენჯიხის რაიონის მეჩაიეებმა გაანალიზეს შეჯიბრება ყოველ ჰექტარზე მაქსიმალური მოსავლის მიღებისათვის. აჭარელ მიწაუთმოქმედთა მოწოდებას პასუხად ისინი ვალდებულებას კისრულობენ 1.400 ტონით გადააჭარბონ სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის ჩაბარების ნაკისრ ვალდებულებას.

შესანიშნავი ინიციატივას ფართოდ უჭერენ მხარს სხვა რაიონებშიც. პლანტაციების მშრომელნი ისწრაფვიან პირნათლად გაანაღდონ ხუთწლედის მეორე წლისათვის ნაკისრი ვალდებულება და დაამზადონ სულ ცოტა 360-365 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. (საქინფორმი).

ხუთწლედის ადამიანები

ზეინკალთა საქმეები

1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის თბილისის ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების კოლექტივი საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ცნეს.

ჩარხმშენებლები დიდი ალფოთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა გადაწყვიტეს დამკვრელური შრომით აღნიშნონ.

გადიდებული ვალდებულებანი იკისრა ამწყობ ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც რომან ორაგველიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადამ გადაწყვიტა ხუთწლედის მანძილზე შეასრულოს ათი წლის გეგმა.

* * *

სურათზე: მარცხნიდან — ამწყობი ზეინკალი **რამაზ ბერაძე**, ბრიგადირი **რომან ორაგველიძე** და ამწყობი ზეინკალი **სიმონ გომართელი**.

ს. ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„კომუნისტის“ საოქტომბრო შეჯიბრების დღიური

იკისრე — შეასრულე კიდეც!

ვამოწმებთ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას

საქართველოს სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა, სამშენებლო ორგანიზაციათა კოლექტივებში სულ უფრო ფართოვდება შეჯიბრება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. წლის პირველი ნახევარი დამთავრდა. როგორ ასრულებენ კოლექტივები წლის დასაწყისში ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს? ვამოწმებთ ამ ვალდებულებათა შესრულებას.

ჩამორჩენილთა რიგებში არიან: საგარეჯოს ავტრის ქარხანა (მთავარი ინჟინერი დ. ჭარუმაშვილი) და მეტეხის საშენ მასალათა კომბინატის (ყოფილი დირექტორი ი. ვალაბუევი) კოლექტივები.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მრეწველობის სამინისტრო

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს (მინისტრი გ. გამცემლიძე) საწარმოებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს წლის დასაწყისში და 6 თვის მაჩვენებლებით მათ თავიანთი სიტყვა შეასრულეს: სამრეწველო პროდუქციის გამოშვების დავალება უკლებლივ ყველა ორმოცდათოთხმეტივე საწარმომ გაანაღდა, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 12 მილიონ 757 ათასი მანეთის სხვადასხვა ნაწარმი.

აღსანიშნავია, რომ პროდუქციის გამოშვების მატება ძირითადად მიღწეულია შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე, როგორც ეს ვალდებულებით იყო გათვალისწინებული. პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპმა 5 პროცენტი შეადგინა.

საოქტომბრო შეჯიბრებაში დაწინაურდნენ: თბილისის № 1 სატრიკოტაჟო ფაბრიკის (დირექტორი ე. თავაძე), № 3 სატრიკოტაჟო ფაბრიკის (დირექტორი ნ. ბოჭორიშვილი), სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკის (დირექტორი გ. ოდიშვილი), ქუთაისის სამკერვალო გაერთიანება „გელათის“ (დირექტორი ქ. უკლება), თბილისის პირველი მაისის სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი ლ. გვაჯია), სამკერვალო ფაბრიკა „ნადიკვრის“ (დირექტორი რ. ბუაძე), თბილისის და ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებების (დირექტორები ჯ. მამუჩაშვილი და ვ. ხაზარაძე) კოლექტივები.

კარგად იშრომეს: საქარის მადნეულის საწარმოო გაერთიანების (გენერალური დირექტორი ა. დათუაშვილი), თბილისის საშენ მასალათა კომბინატის (დირექტორი ჯ. ბუცხრიკიძე), კასპის ცემენტის ქარხნის (დირექტორი თ. ალიბეგაშვილი), რუსთავის ცემენტის ქარხნის (დირექტორი გ. ცხკაია), სადახლოს მარმარილოს მაღაროთა სამმართველოს (დირექტორი ა. საყულაშვილი), გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის (დირექტორი გ. ყანჩაველი) და სხვა კოლექტივები.

მსუბუქი მრეწველობის მშრომელებმა დამკვრელურად გამოაცხადეს საიუბილეო წლის მეორე ნახევარი. მათ გადაწყვეტილი აქვთ როგორც განვლილ პერიოდში, მომავალშიც არ ჰყავდეთ არც ერთი ჩამორჩენილი კოლექტივი.

მაგრამ სამინისტროს სისტემაში ქრონიკულ ჩამორჩენას ჯერ-ჯერობით თავი ვერ დაადწია ორმა საწარმომ, მათ წლეულს 6 თვეში პროდუქციის გამოშვების გეგმას 213 ათასი მანეთი დააკლეს, ხოლო რეალიზაციას — 609 ათასი მანეთი.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო

უკანასკნელ წლებში თანდათან გამოსწორეს მუშაობა საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს (მინისტრი ო. ლოლაშვილი) საწარმოო კოლექტივებმა.

აღსანიშნავია, რომ საშენ მასალათა მრეწველობის მშრომელები თვიდან თვემდე ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, წარმოების ყველა რგოლში, ყველა უბანზე დიდი პასუხისმგებლობით შრომობენ და შედეგიც ჩანს: თუ წლის დასაწყისში პროდუქციის გამოშვების დავალებას 18 საწარმო ვერ ასრულებდა, ახლა მათი რიცხვი ორამდე შემცირდა.

წლის პირველ ნახევარში სამინისტროს საწარმოო კოლექტივებმა გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 2 მილიონ 873 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია და მშენებლებს მიაწოდეს 2 მილიონ 489 ათასი მანეთის ზეგეგმითი სამშენებლო მასალები.

კარგად იშრომეს: ხაზარის მადნეულის საწარმოო გაერთიანების (გენერალური დირექტორი ა. დათუაშვილი), თბილისის საშენ მასალათა კომბინატის (დირექტორი ჯ. ბუცხრიკიძე), კასპის ცემენტის ქარხნის (დირექტორი თ. ალიბეგაშვილი), რუსთავის ცემენტის ქარხნის (დირექტორი გ. ცხკაია), სადახლოს მარმარილოს მაღაროთა სამმართველოს (დირექტორი ა. საყულაშვილი), გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის (დირექტორი გ. ყანჩაველი) და სხვა კოლექტივები.

ეს საწარმოები კარგა ხანია ჩამორჩებიან. ამის მიზეზი კი წარმოების სუსტი ორგანიზაცია, მაღალკვალიფიციური კადრების ნაკლებობაა. ამ კოლექტივებში სათანადოდ არ არის გაშლილი შეჯიბრება დისციპლინისა და პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის, ნაადაკ არ ზრუნავენ ჩამორჩენილი უბნების, ინდივიდუალურ მომუშავეთა დასაწინაურებლად.

საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოო კოლექტივების მუშაობა აღმავლობის გზაზე დგას, ახლა საჭიროა განვამტკიცოთ მიღწეული წარმატება და ეროვნული დახმარების ხელი გავუწოდოთ იმათ, ვინც ჩამორჩება.

გარდამავალი დროშა მეთოთხმეტჯერ

რუსთაველ მეტალურგებთან

რუსთავი. (საკ. კორ.). მეტალურგთა დღესასწაულის წინ ხასხასარული ცნობა მოვიდა მოსკოვიდან რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მრეწველობის სამინისტრო და დარგის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი ულიცავენ ქარხნის კოლექტივს მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებას — პირველ ადგილსა და გარდამავალ წითელ დროშას.

ეს ზედიზედ მეთოთხმეტედ ინარჩუნებენ რუსთაველები საკავშირო სამინისტროსა და დარგის პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის დროშას.

მეორე კვარტალის სახელმწიფო დავალება სრული მეტალურგიული ციკლით მათ გადაჭარბებით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 800 ათას მანეთისაზე მეტი ნაწარმი.

„კომუნისტის“ საბჭოთა მეურნეობა

ბოლნისელ მეკარტოფილეთა წარმატება

რაიონის საბჭოთა მეურნეობებმა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით შესრულეს. ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 31.000 ტონისა 12 ივლისისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 31.100 ტონა კარტოფილი. საკავშირო ფონდში გაიგზავნა 24.000 ტონა კარტოფილი, რაც დავალებას 4.000 ტონით აღემატება.

კარტოფილის დამზადება გრძელდება — ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პირველმა მდივანმა **ო. ლლონტმა** და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **მ. ალიევმა.**

ვალდებულების გადამეტებით

გალის რაიონის მშრომელებმა პირობა შეასრულეს. გეგმა-ვალდებულებით სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ 34 ათასი კილოგრამი ბრეშუმის პარკი, ფაქტიურად აწარმოეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 34.031 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ბრეშუმის პარკი.

სახელმწიფოსათვის ბრეშუმის პარკის მაყიდვა გრძელდება. — ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის გალის რაიკომის პირველმა მდივანმა **ბ. გულუამ**, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ნ. თოდუამ.**

ბოლნისელ მეკარტოფილეთა წარმატება

რაიონის საბჭოთა მეურნეობებმა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით შესრულეს. ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 31.000 ტონისა 12 ივლისისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 31.100 ტონა კარტოფილი. საკავშირო ფონდში გაიგზავნა 24.000 ტონა კარტოფილი, რაც დავალებას 4.000 ტონით აღემატება.

კარტოფილის დამზადება გრძელდება — ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პირველმა მდივანმა **ო. ლლონტმა** და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **მ. ალიევმა.**

ბოსკავკალი ის ქარის, რაც გეღელშია

სამშობლოს სიმდიდრე

კომგაინერთა შეჯიბრება

ვინ მოიკოვებს გაზეთ „კომუნისტის“ გარდამავალ ვიმკელს

კომგაინერთა შეჯიბრებაში დაწინაურდნენ:

წითელწყარო

ხ. ყარაგოზაშვილმა ჯაფარიძის კოლმეურნეობაში ერთ დღეს 12 ჰექტარი პურეულიდან მომკა და საშუალოდ ჰექტარზე 32 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

თ. იაკობაშვილმა ზემო მაჩხანის კოლმეურნეობაში ერთ დღეს 12 ჰექტარი პურეულიდან მომკა და საშუალოდ ჰექტარზე 25 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

გურჯაანი

შ. იაზანაშვილმა ირაფლის კოლმეურნეობაში ერთ დღეს 10 ჰექტარი პურეულიდან მომკა და საშუალოდ ჰექტარზე 25 ცენტნერი მარცვალი გალეწა. მას გაზეთ „კომუნისტის“ გარდამავალი ვიმკელი გადაეცა.

ა. ზალაკაშვილმა კაჭრეთის კოლმეურნეობაში ერთ დღეს 10 ჰექტარი პურეულის მოსავალი აიღო და საშუალოდ ჰექტარზე 24 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

თეთრი წყაროს

ხ. პავლოვანოვმა თეთრი წყაროს საბჭოთა მეურნეობაში ერთ დღეს 9 ჰექტარი პურეულის მომკა და საშუალოდ ჰექტარზე 31 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

მარნეული

რ. ყურბანოვმა მარნეულის საბჭოთა მეურნეობაში ერთ დღეს 9 ჰექტარი პურეულის მოსავალი აიღო და საშუალოდ ჰექტარზე 32 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

აჭარის მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა მოწოდების პასუხად

აფხაზეთის მეჩაიეთა მიჯნები

სოხუმი, 13 ივლისი. (საქინფორმის კორ.). გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმისა და გუდაუთის რაიონების მეჩაიეობის მეურნეობებში დღითიდღე ფართოვდება შეჯიბრება მოსავლის აღების დროს შრომის უმაღლესი ნაყოფიერებისათვის. მეჩაიეებმა, რომლებიც გამოეხმაურნენ აჭარის მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა მიმართვას საქართველოს ყველა მეჩაიისა და ჩაის მრეწველობის მუშაკისადმი, დიდი ოქტომბრის სახელოვანი იუბილეს აღსანიშნავად ახალი გაზრდილი ვალდებულებანი იკისრეს. მათ გადაწყვიტეს მეათე ხუთწლედის მეორე წლის სეზონში აღრე ნაკისრი 66.600 ტონის ნაცვლად სამშობლოს მისცენ 70 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

სასოფლო კლუბებსა და ბრიგადების საველე ბანაკებში გაიმართა მეჩაიეთა კრებები, რომლებზეც იხილავენ აჭარის მეჩაიეთა პატრიოტული ინიციატივას. სასიხარულო ცნობები მოდის კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან. გალელმა მეჩაიეებმა მაღალი მოსავები დაისახეს. ისინი მოკრეფენ და სახელმწიფოს მიაყიდიან 35.900 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს, რაც გაზაფხულზე ნაკისრ ვალდებულებას 1.480 ტონით სჭარბობს. შეჯიბრებაში მათი პარტნიორები — ოჩამჩირელი მეჩაიეები დიდი ოქტომბრის 60 წლისთავის აღსანიშნავად ვალდებულებებით 1.105 ტონა ჩაის ფოთოლს მოკრეფენ.

მხურვალედ დაუჭირეს მხარი აჭარელთა მოწოდებას გულრიფშელმა მეჩაიეებმა. მათ გადასინჯეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს სახელმწიფოს 2.180 ტონა ჩაის ფოთოლი მიაყიდონ.

გუდაუთელი მეჩაიეები მზარდა ტემპით იბრძვიან ხუთწლედის მეორე წლის ჩაის უხვი მოსავლისათვის. რაიონის მეჩაიეები, რომლებიც ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ ჩვენი ქვეყნის სახელოვან იუბილეს, აღრე დასახული 5.200 ტონის ნაცვლად სამშობლოს 5.470 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს მისცემენ.

ნაკისრ ვალდებულებებს ათზაზეთის მეჩაიეები ბეჯითი შრომით ახორციელებენ. სეზონის დამდეგიდან მათ უკვე 44 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. ეს თითქმის ცხრა ათასი ტონით სჭარბობს ამავე პერიოდის შარშანდელ მაჩვენებელს. მოკრეფილი ნედლეულის დაახლოებით 76 პროცენტი ჩაის ფაბრიკებს პირველ ხარისხად ჩაბარეს.

60

ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

სსრ კავშირის კონსტიტუციის ახალი პროექტი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლის დამადასტურებელი ისტორიული დოკუმენტია. მისი ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილია მეორე კარი — სახელმწიფოსა და პიროვნების შესახებ, რომელიც საბჭოთა მოქალაქის ფაქტიურ სამართლებრივ მდგომარეობას გამოხატავს. აღნიშნული კარი შედგება ორი თავისა და 36 მუხლისაგან. მოქმედი კონსტიტუციისაგან განსხვავებით საბჭოთა მოქალაქის ძირითად უფლებებს, თავისუფლებასა და მოვალეობებს 16-ის ნაცვლად პროექტში დათმობილი აქვს 30 მუხლი. ამ საკითხის დიდ აქტუალობასა და მნიშვნელობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ მოქალაქის უფლებების საკითხი მოქმედი კონსტიტუციისაგან განსხვავებით მე-10 თავიდან გადმოტანილია მე-7 თავში. თვითეული მუხლი, რომელიც მასშია შეტანილი, უდადგსა მნიშვნელობისაა არა მარტო პოლიტიკური, არამედ მეცნიერული და საზოგადოებრივი პრაქტიკის თვალსაზრისით.

საერთო-სახალხო სახელმწიფოს პირობებში სოციალისტური დემოკრატიზმის გაფართოებისა და გაღრმავების ბაზაზე ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციის ახალმა პროექტმა არა მარტო დაამკვიდრა საბჭოთა მოქალაქის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების ფართო კომპლექსი, არამედ ერთ მწყობრ სისტემად ჩამოაყალიბა სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობა. მაგალითად, პროექტმა გამოკვეთილად მიუთითა მოქალაქეობის ინსტიტუტზე, რაც ოქტომბერი ფურდიული წინაპირობაა საბჭოთა მოქალაქის ყველა სახის კონსტიტუციური უფლებების წარმოშობისათვის.

პროექტის მეორე კარის პრეამბულაში ჩაწერილია, რომ სსრ კავშირის მოქალაქენი თანასწორნი �

კანონის წინაშე მათი წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, განათლების, ეროვნული და რასობრივი კუთვნილების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებების მიხედვით.

ამასთან, ეს თანასწორობა რეალურად არის უზრუნველყოფილი სოციალისტურ საზოგადოებაში მოქმედი პოლიტიკური, ეკონომიკური და იურიდიული გარანტიებით.

კონსტიტუციის პროექტის ეს მუხლი დამაჯერებელ პასუხს სცემს კაპიტალიზმის დამცველთა იმ მესვეურებს, ვინც სოციალიზმის ქვეყნებში ე. წ. მოქალაქის უფლებების ხელყოფის საკითხის მოშიზეზებით ამაოდ ცდილობს ჩვენს საშინაო საქმეებში ჩარევას.

ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობისა და სოციალისტური დემოკრატიის განვითარების ბაზაზე კონსტიტუციის პროექტის მეორე კარში პირველად არის მითითებული ადამიანი სსრ კავშირში. მყოფი უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებებზე, პროექტის 37-ე მუხლი, ჩამოთვლის რა ამ უფლებებს, ერთხელ კიდევ ხაზგასმით მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საბჭოთა მოქალაქეებისაგან განსხვავებით უცხოელ მოქალაქეებს სსრ კავშირის ტერიტორიაზე აქვთ არა პოლიტიკური, არამედ პირადი, ქონებრივი, ოჯახური და ზოგიერთი სხვა კანონით განსაზღვრული უფლებანი.

კონსტიტუციურ უფლება-მოვალეობათა კომპლექსი, რომელიც საბჭოთა მოქალაქის სამართლებრივ სტატუსს ქმნის, არ წარმოადგენს რაღაც განყენებულ, აბსტრაქტულ კავშირს სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის. მოქალაქის თვითეული კონსტიტუციურ უფლებას შეესაბამება შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მოვალეობა—ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს მოქალაქის უფლების სრულად განხორციელება, ხოლო მოქალაქის კონკრეტულ ვალდებულებას შეესაბამება სახელმწიფო ორგანოს კონკრეტული უფლება. სოციალისტურ საზოგადოებაში კანონიერების პრინციპის განუხრელი დაცვა რეალურად უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოსა და მოქალაქის თანასწორობას კანონის წინაშე.

ყველაზე კარგად ეს ჩანს კონსტიტუციის პროექტის 58-ე მუხლის მაგალითზე, სადაც ნათქვამია, რომ სსრ კავშირის მოქალაქეებს უფლება აქვთ საჩივარი შეიტანონ თანამდებობის პირთა მოქმედების გამო სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. ეს საჩივრები განხილულ უნდა იქნას კანონით დადგენილი წესით და ვადებში.

თანამდებობის პირთა მოქმედება, რომელიც არღვევს კანონს, ამეტებს უფლებამოსილებას, ლახავს მოქალაქეთა უფლებებს, შეიძლება კანონით დადგენილი წესით გასაჩივრდეს სასამართლოში.

ეს სრულიად ახალი კონსტიტუციური ნორმა პირველ რიგში იმაზე მიუთითებს, რომ სოციალიზმს არ შეუძლია საზოგადოებისაგან გარიყულად მიატოვოს პიროვნება. მართალია, სახელმწიფო ორგანოს მუშაკთა მიერ მოქალაქის უფლების დარღვევა შეუთავსებელია სოციალისტური სახელმწიფოს ბუნებასთან, მაგრამ მისი უარყოფა სინამდვილის დამახინჯებას წარმოადგენს. ამასთან ეს უფლება გამოყენებული არ უნდა იყოს უსაფუძვლო კრიტიკისა და ანარქიზმსწორების მიზნით.

კონსტიტუციის პროექტის 48-ე მუხლში პირველად იქნა ცალკე

სახელმწიფო და პიროვნება

სქემა ქართლებრივი ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის მიხედვით

უფლების სახით შეტანილი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური უფლება-სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში სსრ კავშირის მოქალაქეთა მონაწილეობის უფლება.

მაგალითად, ამას წინათ ჩატარებულ არჩევნებში რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში არჩეულ იქნა 49.371 დეპუტატი. მათ შორის 67,5 პროცენტი მუშები და კოლმეურნეები, 48,5 პროცენტი ქალები, ხოლო 30,8 პროცენტი ახალგაზრდაა.

ამ უფლებაში ყველაზე სრულად არის გამოხატული სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს დემოკრატიული ბუნება, პიროვნების სოციალური აქტივობისთვის ზრუნვა.

მოქმედი კონსტიტუციისაგან განსხვავებით პროექტმა ერთმანეთისაგან ცალ-ცალკე გამოჰყო ავრეთვე მოქალაქის ჯანმრთელობის დაცვის უფლება და მატერიალური უზრუნველყოფის უფლება.

სრულიად ახალია კონსტიტუციის პროექტის 44-ე მუხლით გათვალისწინებული სსრ კავშირის მოქალაქის ბინის უფლება, რასაც უზრუნველყოფს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის განვითარება და დაცვა, კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის ხელის შეწყობა და სხვ. მაგალითად, მარტო მიმდინარე წელს ჩვენს რესპუბლიკაში აშენებულია 200 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, სადაც ახალმოსახლეობა იზეიმა 19.500 ოჯახმა.

საბჭოთა მოქალაქის ეკონომიკური ხასიათის უფლებებიდან პროექტში ახალი, გაღრმავებული შინაარსით არის წარმოდგენილი საბჭოთა მოქალაქის პირადი საკუთრების უფლება და სხვ.

ერთი სიტყვით, ახალი კონსტიტუციის პროექტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურება ის არის, რომ იგი ერთმანეთისაგან არ თიშავს მოქალაქეთა უფლებებს და მათ რეალიზაციას. პროექტი ავალებს ყველა ორგანოს გულისყურითა და ყურადღებით მოეკიდოს მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს და მათთან ურთიერთობაში არ დაუშვას კანონისაგან გადახვევა. „ყველა საფეხურის საბჭოებიც, — მიუთითებს ლ. ი. ბრეჟნევი, — მთავრობაც, სამინისტროებიც და უწყებებიც, ადგილობრივი საბჭოებს ალმასკომებიც დღენიადაგ უნდა ედარებდნენ თავიანთ მუშაობას კონსტიტუციის მოთხოვნებს. თვით პარტიული ორგანებიც უფრო მკაცრად უნდა

ᲛᲝᲪᲔᲮᲝᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ — ᲛᲗᲔᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲧᲣᲠᲘ!

ᲝᲠᲘᲡ რაიონის ბერბუკის საბჭოთა მეურნეობამ გადაწყვიტა წლეულს 500 ტონის ნაცვლად 600 ტონა სენაჟი ჩადოს. სენაჟის დამზადების საქმეს ყოველდღიურად ამოწმებენ მეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსი ლუბა ფუტკარაძე და ვეტექიმი დიმიტრი ძურძუკი. მალე ვალდებულება პირნათლად შესრულდება.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: სახენაჟე მასის აღება მეურნეობის მინდვრებში.

Გ. ᲩᲣᲠᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო.

14-15 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ინფორმაციას ჩვენი იარაღია იდეურ ბრძოლაში. მასში, ისევე როგორც მთელ იდეოლოგიურ მუშაობაში, არ უნდა იყოს გულარხეინობა და ნეიტრალიზმი, ნათქვამია 14 ივლისის მოწინავეში („ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ“).

სრულვყოთ პოლიტიკური ინფორმაცია — ნიშნავს გაკუმკობესოთ იდეოლოგიური კადრების შერჩევის, მათი სწავლების, საცნობარო მასალებითა და მეთოდიკური რეკომენდაციებით, ლიტერატურით უზრუნველყოფის პრაქტიკა. ყოველნაირად უნდა განვავითაროთ პოლიტიკური, საგაზეთო-პროპაგანდისტულ მუშაობაში ხელმძღვანელი კადრების მუდმივი მონაწილეობის ლენინური ტრადიცია.

მზრუნველი დამოკიდებულება სახალხო დოვლათისადმი, ყაირათიანი შრომა როგორც ცალკეული მუშაკის, ისე საწარმოო კოლექტივის პოლიტიკური და პროფესიული სიმწიფის მაჩვენებელია, წერს გაზეთი გუშინდელ მოწინავეში. პარტიულმა ორგანიზაციებმა მუდამ ყურადღების ცენტრში უნდა იქონიონ ეს პრობლემები, ჩაენერგონ ადამიანებს ქვეყნის ბატონ-პატრონის გრძნობა, გამოუმუშაონ გონივრული მუშაობის ჩვეული.

გაერთიანება „ᲣᲓᲐᲜᲝᲜᲓᲫᲘᲛᲘᲜᲐᲜᲘ“ მარკის ნახავთ რეკლამიანის ცისტერნებსა და ნახევარვაგონეტებზე, სბორმედე და ფოლადსადნობ მოწყობილობაზე, ამწეებსა და მრავალ სხვა საკეთობაზე, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მრეწველობის წამყვანი დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განტკიცებაში. შარშან წარმოების მატებამ აქ 12 პროცენტი შეადგინა. და ყოველივე ეს შრომის ნაყოფიერების გადიდების შედეგია. საკუთარსმოა, რომ ესოდენ სწრაფი ტემპის შენარჩუნებას ახერხებენ დამსმარე წარმოებისა და პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციისადმი განსაკუთრებული ყურადღების მეოხებით. ეს, ფიქრობენ გაერთიანებაში, მატების სულ ცოტა ნახევარს იძლევა. როგორ გადაჭრაციოთ ეს გამოცდილება საერთო კუთვნილებად? ამაზე მოგითხრობთ ი. ტიხომიროვის წერილი („ᲡᲐᲐᲛᲧᲠᲝᲡ ᲕᲔᲠᲢᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ“).

როგორც „პრავდის“ კორესპონდენტი გ. ლებანიძე ატყობინება („ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲘ ᲙᲐᲚᲐᲞᲐᲢᲘᲡ ᲘᲪᲕᲚᲘᲡ“), ისევე როგორც ყველა მთის მდინარე, თავნება და ბობოქარია ალგეთიც. თეთრი წყაროს რაიონის მცხოვრებლებს ბევრი დავიდარაბა გადახდენიათ თავს ამ მდინარის გამო. და აი ახლახან მდინარის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო: იგი 520-მეტრიან შემოვლითს გვირაბში „მოამწყვდიეს“.

სოფელ ტბისის მახლობლად დაიწყო ალგეთის წყალსაცავის 860-მეტრიანი ნაყარი კაშხალის შენებლობა. ბუნებრივ ქვაბულში გაჩნდება ხელოვნური ტბა, რომელიც მაცოცხლებელ ტენს მიაწვდის 15 ათას ჰექტარზე მეტ გვალვიან მიწებს.

ᲞᲠᲐᲕᲓᲐ

ᲤᲔᲠᲛᲔᲑᲡ — ᲡᲐᲥᲕᲔᲑᲘᲡ ᲜᲔᲚᲘᲜᲐᲓᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲒᲘ

ᲡᲔᲜᲐᲭᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲢᲐᲛᲘᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲚᲐᲮᲘᲡ ᲤᲮᲕᲜᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ 1977 ᲬᲚᲘᲡ 14 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ (ᲢᲝᲜᲝᲑᲘᲗ)

რაიონების დასახელება	გეგმა ზეგემბერი-მთი ს ზაფვლით	შესრულება	პროცენტი	ბალახის ფხვნილი		
				გეგმა	შესრულება	პროცენტი
ახალქალაქი	47.200	12.256	26,0	250	—	—
ბოგდანოვკა	33.000	—	—	500	—	—
ახალციხე	18.000	6.620	36,8			
ადიგენი	27.000	4.670	17,3	200	—	—
ასპინძა	12.000	2.100	37,5			
ხაშური	20.000	17.604	88,0			
ქარელი	15.000	12.200	81,3			
გორი	31.990	21.605	65,8	300	65	21,3
კასპი	17.520	13.124	74,9			
ბორჯომი	17.000	410	2,4			
საგარეჯო	32.000	13.299	41,6	500	125	25,0
გურჯაანი	34.000	28.563	84,0	1.200	853	71,1
სიღნაღი	50.000	33.928	67,8	900	322	35,8
წითელწყაროო	50.000	30.595	61,2	3.000	1.026	34,2
თელავი	11.020	5.267	47,8	1.030	—	—
ახმეტა	20.000	13.369	66,8	200	48	24,0
ყვარელი	8.000	4.458	55,7	1.080	—	—
ლაგოდეხი	15.000	5.717	38,1	1.940	109	5,6
გარდაბანი	58.600	34.120	58,2	900	88	9,3
მცხეთა	17.300	14.600	84,4	200	74	37,0
მარნეული	32.500	19.100	58,8	16.120	7.487	46,4
ბოლნისი	23.220	11.041	47,5	250	—	—
წალკა	27.125	—	—			
დუშეთი	10.500	2.397	22,8			
თეთრი წყაროო	30.000	24.266	80,9	250	—	—
დმანისი	22.000	5.557	25,3		—	—
თიანეთი	12.000	4.837	40,3			
სამხრეთ ოსეთის ა/ო	32.350	13.699	42,3	250	—	—
ყიზლარის ს/ფ	4.500	1.232	27,4			
წყალტუბო	8.080	5.682	70,3	1.000	187	18,7
სამტრედია	12.000	7.298	60,8	700	89	12,7
წულუკიძე	4.500	4.500	100,0			
ვანი	4.000	1.726	43,2	150	—	—
მაიაკოვსკი	4.000	4.067	101,7			
ზესტაფონი	4.000	4.294	107,4			
თერჯოლა	6.000	7.050	117,5			
ჭიათურა	3.500	1.708	48,8			
საჩხერე	8.000	5.014	62,7			
ორჯონიკიძე	500	—	—			
ტყიბული	2.000	1.304	65,2			
ონი	3.000	—	—			
ამბროლაური	2.000	—	—			
ცაგერი	1.500	250	16,7			
ლენტეხი	1.000	—	—			
აბაშა	15.000	15.050	100,3	1.010	190	18,8
ცხაკაია	9.000	7.372	81,9	500	102	20,4
გეგეჭკორი	7.000	8.331	119,0	500	262	52,4
ზუგდიდი	13.900	9.565	73,6	300	51	17,0
ხობი	12.000	11.718	97,7	300	—	—
წალენჯიხა	3.000	470	15,7			
ჩხოროწყუ	4.000	5.132	128,3			
მარტვილი	5.000	5.058	101,2	300	—	—
ლანჩხუთი	9.000	5.662	62,9	500	60	12,0
ჩოხატაური	3.000	668	22,3			
მესტია	1.300	—	—			
აფხაზეთის ასსრ	23.075	9.916	43,0	1.020	100	9,8
აჭარის ასსრ	13.000	4.970	38,2	450	—	—
სულ						
რესპუბლიკაში:	910.280	483.841	53,2	36.000	11.208	31,2

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ველ-მინდვრებში ფართო ფრონტით მიმდინარეობს საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის განკუთვნილი ხაკვების დამზადების სამუშაოები. განსაკუთრებით კარგად ირჯებიან გურჯაანელი საკვებმომპოვებლები. ისინი ჯერჯერობით იმით შორს არიან, ვინც მოიმარაგა ყველაზე მეტი სენაჟი — 28.500 ტონა — წლიური გეგმის 84 პროცენტი და 550 ტონა ბალახის ფხვნილი — გეგმის 71 პროცენტი. მალე შეასრულებენ ამ სახეობის საკვების დამზადების დავალებას აგრეთვე საჩხერის, ქარელის, მცხეთის, ხაშურის, თეთრი წყაროს რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

დასავლეთ საქართველოს მთელმა რიგმა მეურნეობებმა უკვე შეასრულეს სენაჟის დამზადების გეგმები. თუმცა აქაურ გეგმებს მაინცდამაინც დაძაბული არ ეთქმის, აბაშის რაიონში უკვე დამზადებულია 15.050 ტონა, რაც გეგმას 50 ტონით სჭარბობს. იმ რაიონების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების წინაშე, რომლებმაც უპატაკეს საკვების დამზადების დავალებათა შესრულება, დგას შემდეგი ამოცანა — გაჩაღონ შეჯიბრება საკვების წელიწად-ნახევრის მარაგის შესაქმნელად.

მთლიანად რესპუბლიკაში, როგორც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციის სამმართველო იუწყება, 14 ივლისისათვის დამზადებული იყო 580 ათას ტონაზე ცოტა მეტი უხეში საკვები — ვეგმის 30 პროცენტი. რამდენადმე უარესად არის თვითს დამზადების საქმე — შესრულებულია გეგმის მხოლოდ 9 პროცენტი. ბალახის ფხვნილი დამზადებულია 11.200 ტონა, ვალდებულება კი 36 ათას ტონას ითვალისწინებს.

(საქინფორმი).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔᲡ

ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 14 ივლისი. (საკუთარი). ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატმა მიიღო გადაწყვეტილება გამოყოს ასიგნებანი, რომლებიც პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა ითხოვა მასობრივი მოსპობის ახალი იარაღის — ნეიტრონული ბომბის წარმოებისათვის.

სენატმა უარყო მ. პეტფილდის შესწორება, რომელიც მოითხოვდა უარეყოთ 14,4 მილიონი დოლარის ასიგნება მიმდინარე საფინანსო წელს ნეიტრონული მუხტების შესაქმნელად საარტილერიო ყუმბარებისა და „ლენსის“ რაკეტებისათვის, რომლებითაც აღჭურვილი არიან ამერიკის ჯარები დასავლეთ გერმანიაში.

ამრიგად კონგრესმა სანქცია მისცა პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, რომელიც გამალებული შეიარაღების ახალ რაუნდს წარმოადგენს. ამ საკითხის განხილვის დროს სენატში დასაბუთებული შეშფოთება გამოთქვა მასობრივი მოსპობის ახალი იარაღის შექმნასთან დაკავშირებით. როგორც სენატორმა მ. ჰეტფილდმა განაცხადა, ნეიტრონულ ბომბს შეეძლია გამოიწვიოს მომაკვდინებელი ნალექები, რომლებიც 6000 წლის განმავლობაში დარჩება. სენატორმა დ. ჰაინცმა ნეიტრონულ ბომბებსა და მუხტებს უწოდა „საზიზღარი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ანტიადამიანური იარაღი“.

გამალებული ატომური შეიარაღების გზაზე გადადგმული ამ საშიში ნაბიჯის გამო შეშფოთება გამოთქვა სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ დ. სპარკმენმა, რომელმაც განაცხადა, რომ სენატმა თავი უნდა შეიკავოს ნეიტრონული მუხტების წარმოების შესახებ რაიმე გადაწყვეტილების მიღებისაგან.

მხედველობაში მიიღო რა ნეიტრონული იარაღის გამოყენების საშიში შედეგები, სენატორმა ე. კენედიმ შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელიც საშუალებას აძლევს სენატს ვეტო დაადოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ნეიტრონული ბომბებისა და მუხტების წარმოების დაწყების შესახებ.

როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, განიარაღების საკითხთა სპეციალისტებმა ჯ. კარტერის წინაშე გამოთქვეს შიში, რომ ნეიტრონული ბომბის წარმოებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მოლაპარაკებას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

მაგრამ მილიტარისტულმა წრეებმა უგულებელყვეს ყველა გაფრთხილება. მუშაობა ამ იარაღის შექმნისათვის უადრესად საიდუმლოდ მიმდინარეობდა კალიფორნიის ლივერმორის ლაბორატორიაში. იგი რამდენიმე წლის წინათ დაიწყო. ნეიტრონული ბომბის შექმნისათვის საჭირო ხარჯები შენიღბულია ასიგნებებით „საზოგადოებრივ სამუშაოთა“ ფონდისათვის.

ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲘ ᲛᲝᲗᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲐᲕᲮᲔᲓᲓᲐ

ᲜᲘᲪᲪᲐ, 14 ივლისი. (საკუთარი). ლიბანიდან მიღებული ცნობების თანახმად, ისრაელის ჯარებმა არტილერიის დახმარებით ხელთ იგდეს ლიბანის სასაზღვრო დასახლებული პუნქტი ალ-მარი, რომელიც ისრაელის საზღვრიდან 5 კილომეტრზე მდებარეობს. დასახლებული პუნქტის მცხოვრებლებმა შორიახლოს, ქალაქ ჰასბაიის შეაფარეს თავი.

პალესტინელთა ეფას საინფორმაციო სააგენტო იუწყება, რომ 12 ისრაელი ჯავშნტრანსპორტიორი ჯარებიანად შეიჭრა ალ-მარის რაიონში. როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეებმა თქვეს, ისრაელის ჯარებმა წინა თვეში ამ რაიონში ორჯერ დაარღვიეს ლიბანის საზღვარი, აგრეთვე 14-ჯერ გადაუფრინეს პოზიციებს, რომლებიც ეროვნულ-პროგრესულმა ძალებმა და პალესტინელთა შენაერთებს უკავიათ.

ისრაელის ჯარებმა დასახლებული პუნქტი ხელში ჩაიგდეს ამ მომენტში, როცა, როგორც იუწყებიან, მაკურეს შეთანხმებას, რომ საბრძოლო მოქმედება შეწყვიტონ, ერთი მხრივ, ლიბანის კონსერვატიულმა ძალებმა, რომლებსაც ისრაელი ეხმარება, და მეორე მხრივ, ეროვნულ-პროგრესულმა ძალებმა და პალესტინელთა შენაერთებმა. ისრაელის მხედრიონი ყოველნაირად ისწრაფვის გაამწვავოს ვითარება ლიბანში, არ დაუშვას მდგომარეობის მოწესრიგება ამ ქვეყნის სამხრეთში.

ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲔᲞᲔᲨᲐᲗᲐ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲤᲮᲝᲜᲘᲐᲜᲘ, 14 ივლისი. (საკუთარი). როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, 14 ივლისს დილის 9 საათსა და 55 წუთზე ამერიკის შეიარაღებულმა ვერტფრინავმა დაარღვია სამხედრო-სადემარკაციო ხაზი მის აღმოსავლეთ უბანზე და ღრმად „შემოიჭრა ჩვენი ქვეყნის საჰაერო სივრცეში“. იგი ჩამოადგეს კორეის სახალხო არმიის საარტილერიო ცეცხლით. ამერიკის სამხედრო ეკიპაჟის სამი წევრი, რომლებიც ვერტმფრინავში იყვნენ, დაიღუპა, ერთი წამოყვანილია ტყედ.

ახლა ინცინდენტის ადგილზე მიმდინარეობს ამერიკის ვერტმფრინავის უკანონო შემოჭრის გამოძიება.

ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ, ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲔᲑᲘ

ᲚᲔᲥᲢᲝᲠᲘᲣᲛᲘ

— **სსრ** კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების დემოკრატიის შემდგომი სრულყოფის ნათელი დადასტურებაა — ამ თემას მიეძღვნა ლექტორიუმი, რომელიც ამას წინათ სამტრედიის ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გაიმართა.

ლექტორიუმს ესწრებოდნენ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები, რაიკომის ლექტორები, პროპაგანდისტები, განათლებისა და კულტურის მუშაკები.

ლექციები თემებზე: „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ“, „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია პიროვნების უფლებათა დაცვის აშკარა გამოხატულება იქნება“, „სახალხო განათლებისა და აღზრდის-პრობლემები ახალი კონსტიტუციის პროექტში“, „საბჭოთა ხალხი — თავისი, ქვეყნის ბატონ-პატრონი“ „სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეები კონსტიტუციის პროექტში“ წაიკითხეს რაიონგზის სამტრედიის სახაზო მილიციის უფროსის მოადგილემ პოლიტადმზრდელობითი მუშაობის დარგში ვ. მსხილაძემ, რაიონის პროკურორმა ჯ. კიკაბიძემ, რაიონის განათლების განყოფილების გამგემ კ. ძნელაძემ, გაზეთ „წინსვლის“ რედაქტორმა ვ. ნიკოლეიშვილმა, საქართველოს ალკა სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. შუქრიამ.

დამსწრეთ ახალი კონსტიტუციის პროექტის ძირითად საკითხებზე ესაუბრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორი, დოცენტი კ. გუბელიძე.

ლექტორიუმის მუშაობა შეჯამა და კონსტიტუციის ახალი პროექტის განხილვასა და პროპაგანდასთან დაკავშირებით რაიონის იდეოლოგიური დარგის მუშაკების ამოცანებზე ილაპარაკა პარტიის სამტრედიის რაიკომის მდივანმა ნ. გელეიშვილმა.

Კ. ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ,
რაიონულ გაზეთ „წინსვლის“ რედაქტორის მოადგილე.

ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲘᲗ

ᲥᲔᲓᲐ. (საკ. კორ.). სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნებულ კონსტიტუციის პროექტს ცხმორისის კოლმეურნეობის მშრომელები დიდი ინტერესით ეცნობიან. კონსტიტუციის პროექტის შინაარსს, თვითეულ პუნქტის დედაარს აგიტატორები ყოველ მშრომელს აცნობენ.

აგიტატორი შ. ბერიძე თავის საგიტაციო უბანში ამ დღეებში განსაკუთრებით სასურველი მაცნე გახდა. კოლმეურნეები მოუთმენლად ელიან მის გამოჩენას. კონსტიტუციის ირგვლივ ბევრი რამ აქვთ საკამათო აგიტატორსაც და მშრომელებსაც.

— მე ყველა „კონსტიტუციის მომსწრე ვარ—თქვა ვეტერანმა კოლმეურნემ მენელიდ ციკლიძემ. ჩემს თვალწინ შეიცვალა სოფელი, წელში გასწორდა გლეხკაცი. ახლა ისე მტკიცედ ვდგავართ ფიზიზე, როგორც არასდროს. ახალი კონსტიტუცია კიდევ უფრო გაზრდის ჩვენს უფლებებს, გასაქანს აძლევს სასარგებლო შრომას. ჩვენი ვალია პარტიის ასეთ ზრუნვას თავდადებული შრომით ეპასუხოთ.

ცხმორისელებს გადაწყვეტილი აქვთ საიუბილეო თარიღს ახალი გაძარკვევებით შეხვდნენ.

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ — ᲛᲗᲔᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲧᲣᲠᲘ!

ოჯახური ჯაჭვები

უკვე ერთი წელიწადია, რაც გაზეთ „კომუნისტის“ მივლინებით აბაშაში იმყოფება გამოჩენილი ქართველი მწერალი, რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი კონსტანტინე ლორთქიფანიძე. მწერალმა დაამთავრა „ქართული სოფლის ქრონიკების“ მეორე ნაწილი, რომელსაც ვთავაზობთ მკითხველს.

ნაწილი მეორე

I.

ემითაჟამიდან მოკიდებული, მეგრელი კაცი სანაქებო მეჯოგე იყო. საქართველოში ქუხდა მისი სახელი და ხალხურ სიმღერებსა და თქმულებებში ცოცხლობდა იგი, როგორც მითურ გმირებთან წილნაყარი ძველი კოლხი.

მეგრული ცხენი, მეგრული ხარი და ძროხა, მეგრული კამეჩი, თხა და ღორი... იყო დრო, ამ კოლხური ჯიშის საქონელს ბადალი არ მოეძებნებოდა ჩვენს მიწაწყალზე, მაგრამ ამჟამად ჩემი სათქმელი სხვა არის.

„ქრონიკების“ პირველ ნაწილში უკვე ითქვა და ახლაც უნდა გავიმეორო:

მას შემდეგ, რაც ადამიანმა მეწველი საქონელი მოაშენა, ძროხას ოჯახის მარჩენალს ეძახდნენ. რაგინდ გაჭირვებულიც უნდა ყოფილიყო გლეხკაცი, ერთი მეწველი საქონლის ჰამო წლიდან-წლამდე სულს მაინც მოათქმევინებდა ოჯახს. ასე იყო აქამდე და ასე უნდა ყოფილიყო დღესაც, მაგრამ აბაშის მეურნეობებში ძროხა ოჯახის დამაქცევრად გადაიქცა, რადგან მისი შენახვა და მოვლა-პატრონობა უფრო ძვირი ჯდებოდა, ვიდრე ამ საქონელს სარგებელი მოჰქონდა. ნუ გაიკვირვებ, მკითხველო, ცუდი გამგებელის ხელში პირუტყვმა კი არა, შეიძლება მეტყველმაც აღარ ივარგოს.

ამონაწერი გაზეთიდან „განახლებული აბაშა“, 1968 წელი:

„1967 წელს 1966 წელთან შედარებით თითოეული საფურაჟე ძროხის წველადობა 37 კილოგრამით შემცირდა“.

ამონაწერი გაზეთიდან „განახლებული აბაშა“, 1969 წელი:

„გასულ წელს ერთი ცენტნერი რძის თვითღირებულება 1967 წელთან შედარებით გაიზარდა 2,41 მანეთით, შეადგინა 33,66 მანეთი; საქონლის ხორცის თვითღირებულება კი გაიზარდა 16 მანეთით და 295,60 მანეთი შეადგინა. კიდევ უფრო ძვირი ჯდება იგი ცალკეულ კოლმეურნეობებში. მაგალითად ნორიოს კოლმეურნეობაში ერთი ცენტნერი რძის დირებულებამ შეადგინა 56,79 მანეთი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 23,60 მანეთისა, გეზათის კოლმეურნეობაში 56,1 მანეთი, სეფიეთის კოლმეურნეობაში — 45,8 მანეთი, სამიქაოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში — 43,80 მანეთი, სამიქაოს ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში — 39,10 მანეთი. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება ძვირი დაჯდა აგრეთვე ქოლობნის, ჭ. აბაშის ენგელსის, პირველი მაისის კალინინის სახელობის კოლმეურნეობებში, სუჯუნის საბჭოთა მეურნეობაში და სხვ.“

ამონაწერი გაზეთიდან „განახლებული აბაშა“, 1972 წელი:

„გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რძის წარმოება შეამცირეს გეზათის, სამიქაოს ცხაკაიას, ეთერზეთების მეურნეობა-ქარხნის, სამიქაოს მახარაძის სახელობის და კეთილარის კოლმეურნეობებმა. ცუდი მდგომარეობაა შექმნილი ლამბოინების საქმეში. მაგალითად ეთერზეთების მეურნეობა-ქარხანაში ყოველ 100 ძროხაზე მიღებულია 50 ხბო, გეზათში — 36 და სხვ... დანაშაულებრივად ჭიანურდება სუქების ხანგრძლივობა, ცუდად არის მოწყობილი სუქების ორგანიზაცია, კვლავ სერიოზული ნაკლოვანებებია პირუტყვის ზოოვეტერინარული მომსახურების საქმეში“.

დაბოლოს, საქმე ისე წახდა, რომ ონტოფოს კოლმეურნეობაში ერთი ძროხა წელიწადში საშუალოდ 773 ლიტრა რძეს იწველიდა;

სამიქაოში — 719 ლიტრას! (ამდენს ალბათ კარგი მეგრული თხაც მოიწველის);

სოფელ ნორიოში — 955 ლიტრას;

პირველი მაისის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში — 1000 ლიტრას.

იმ ხანებში ეს ათასი ლიტრა, როგორც ჩვენი გაზეთები წერენ, წველადობის დიდი მაჩვენებელი იყო აბაშის რაიონში.

არც სახორცე საქონელი დადიოდა გალალებული ჭალა-მინდვრებში. თუმცა საკვები ბარაგი აბაშას მუდამ სხვაზე მეტი ჰქონდა. მაშ რა იყო მიზეზი, რომ აქაური ხარი და ძროხა ფერმის ხარსა და ძროხას არ ჰგავდა?

შეიძლება ეს ამბავი კაცმა არ ირწმუნოს. მაგრამ მე აგერ ხელში მიჭირავს საკოლმეურნეო არქივიდან წამოღებული ცნობა, რომ 1971-1972 წლებში აბაშელი მეცხოველე თვეში საშუალოდ 41 მანეთს იღებდა.

არავითარი ნივთიერი წახალისება, არავითარი ჯილდო-პრემია!

მხოლოდ ეს ორმოცდაერთი მანეთი!

ამიტომ რა გასაკვირია, რომ აბაშელი მწყემსები და მწველავები საქმეს უგულოდ ეკიდებოდნენ, ფერმიდან გარბოდნენ და სხვაგან ეძებდნენ სამოშაოს. თუმცა ქერის ორმო არც სხვაგან ელოდა ბედისმაძიებელ კაცს. საქონელს მუდამ აკლდა მუშახელი, ხოლო ვისაც ეს ორმოცდაერთი მანეთი არ აშინებდა და ფერმიდან არ მიდიოდა, იმას სხვა ანგარიში და ანგარება ამოძრავებდა. ფერმის ძროხას ყოველდღიურ ულუფას უნახევრებდა, სილოსი იქნებოდა. თივა თუ ქატო. მეორე ნახევარი შინ მიჰქონდა და თავის საქონელს აკმევდა.

სამწუხაროდ, აბაშის ფერმებში ამგვარი წილ-ზიარობა იყო გამეფებული, რამაც საბოლოოდ მოუთავა ხელი რძისა და ხორცის წარმოებას. მე ისიც კი მითხრეს, ზოგიერთი ფერმის გამგე და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხედავდა ამ უკუღმართობას, მაგრამ პირში წყალს იგუბებდა, აქაოდა, ქურდი გამექცევა და პირუტყვი ღვთის ანაბარად დამრჩებაო...

მაგრამ სოფელში პატიოსან ადამიანს რა გამოლევს! რამდენ გაჭირვებას გადაიტანს იგი, რომ საყვარელ საქმეს არ გაექცეს, არ უღალატოს.

ზანათის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა სვანიძემ მიამბო:

ერთი კარგი მეღორე მყავდა, დიმა ქობალავა. საოცარი თვალის მეხსიერება ჰქონდა, ღორი ღორსა ჰგავს, მაგრამ ქობალავამ მთელი კოლტის ავანჩავანი ზეპირად იცოდა, ერთი ღორი მეორეში არ შეეშლებოდა. ამიტომ მათი მოვლა-პატრონობაც არ უჭირდა. ერთხელ ამ ქობალავამ მკითხა, თქვენი კანტორის დამლაგებელ ქალს ჯამაგირი რამდენი აქვსო?

— სამოცი მანეთი.

— მთელი კანტორა რამდენი მეტრი იქნება!

— ოცი-ოცდაორი-მეთქი, ვუთხარი.

— მერე შე დალოცვილო, სად არის სამართალი! ჩემი საღორე ათი იმდენი მაინც გამოვა! ცალკე ღორებს ვუვლი, ცალკე ამოდენა დოლფარას ვასუფთავებ! შენი ორმოცი მანეთი ჯიბის ფულად არ მყოფნის! აგერ, ბატონო, ჩემი განცხადება, ხელი მომიწერე და გამიშვი!

ძალიან კი დამწყდა გული, მაგრამ რა ძალა მქონდა, მოვუწერე ხელი.

ალბათ შემატყო, რაფერ მეძნელებოდა მისი გაშვება, მივიდა კართან და ისევ მობრუნდა, მერე ვითომ რაღაც მოაგონდა, მეორე ოთახში გავიდა მოანგარიშესთან, ცოტახანს ელაპარაკა... იქიდან რომ გამოვიდა, ხელმოწერილი განცხადება მაგიდაზე ჯავრიანად დაადგა და მითხრა:

— თუ ასე გჭირდები, შე დალოცვილო, ცოტა ჩემზედაც იფიქრე, მეც შემიცოდე!

II.

დიდი სიყვარული დროსა და გარემოებას არ ემორჩილება.

ბევრჯერ შეეშალა ხელი ევტიხი თურქიას, ბევრი დაბრკოლება შეხვდა ცხოვრებაში, მაგრამ თავისი სალოცავი ხატი სხვაზე არ გაუცვლია, იოლი გზა არ უძებნია.

დიდი გული დამანახვა ამ კაცმა, როდესაც მისი ცხოვრების მატიანეს გავეცანი. რაღას არ მოესწრო ეს ძველი მეჯოგეების ნაშიერი, იგი მაინც ისევე მრთელი და უტეხი დარჩა, როგორც ძელქვიდან გამოთლილი სოლი. მწყემსი თურქია მაშინაც კარგად მუშაობდა, როდესაც ხელისშემწყობი არავინ ჰყავდა და ახლაც კიდე-განი არ უჩანს იმის ნაშრომ-ნაამაგარს.

ასეთ მეჯოგეზე იტყვიან, მშიერი ძროხის ბღავილი თუ გაიგონა, კუბოდან წამოდგებაო.

გურამ მგელაძე აბაშაში ჩამოვიდა თუ არა, იმ დღიდანვე სოფელ-სოფელ დაიწყო სიარული, რომ ხალხი გაეცნო და მათი ადგილმამულიც დაეთვალიერებინა. მგელაძემ თავისი უტყუარი ალღოთი იგრძნო, რომ ევტიხი თურქია სწორედ ერთი იმგვარი კაცი იყო, ვინც მომავალში მისი მასწავლებელი და მრჩეველი გახდებოდა. აბაშის რაიკომის პირველი მდივანი მოწაფეობას არ თაკილობდა — ეს იყო მისი ბედნიერება.

ევტიხის მამა, ნესტორ თურქია განთქმული მეჯოგე ყოფილა სენაკის მახრაში, დიდი ჯოგი დაუდიოდა სირიიჩქონის ჭალა-ტყეებში. ჯერ კიდევ ცხრა წლისა არ იყო პატარა ევტიხი, როდესაც მამამ ერთი გამოხუნებული ჭილობის ამგა მხარზე გადაჰკიდა და ხარ-ძროხას გააყოლა. იმ დღიდან მოკიდებული, ევტიხი თურქიას სხვა სიყვარული არ უძებნია. სამოცი გრძელი წელიწადი შეალია ევტიხიმ პირუტყვის მოვლა პატრონობას.

— იმდენი ვეღარ მოვიცალე, წიგნი მაინც მესწავლა, — გულდაწყვეტილი მეუბნება ევტიხი.

სამაგიეროდ, მწყემსის უმადურმა შრომამ ბუნების ბევრი საიდუმლო კარი გაუღო ნიჭიერ ჭაბუკს, და ისე გაუმახვილა თვალი და ყური, სოფელი მენცარს ეძახდა.

და მართლაც, მისი ძროხები წინათაც და ახლაც ყველაზე ხვავიანად იწველებოდნენ მთელი აბაშის რაიონში. რამდენი წელიწადი გავიდა, ერთი ძროხა არ გაბერწებია ევტიხი თურქიას;

— მე ვიცი მაგისი წამალი — მეუბნება იგი და ბაგაში მიმიძღვება, — ხედავ ამ ძროხას? შარშან მაგი სახორცედ ჩამოწერა საქონლის ექიმმა, გაბერწდაო, ბატონო! კაი ძროხა იყო, არ გავატანე. თავზე დავადექი და მოვარჩინე. მერე ხბოც მოიგო და ახლა დღეში ჩვიდმეტ ლიტრა რძეს იწველება!

სოფელ გაუწყინარში კოლმეურნეობა რომ ჩამოყალიბდა, საქონლის ფერმა იმ დღიდანვე ახალგაზრდა თურქიას ჩააბარეს. დღესაც ამ ფერმას განაგებს ეს ჭარმაგი კაცი და, როგორც მგელაძემ მითხრა, გამგეც არის, მწველავიც, მწყემსიც და მკურნალიც.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

არის ასეთი ავადმყოფობა, საქონელს თვალზე ფრჩხილი გადაეფარება და ვერაფერს ხედავს, — ხეს დაეტაკება, ხრამში გადაიჩეხება... ერთხელ სამოცფუთიან ბუღას ეს ჭირი შეეყარა და ორივე თვალში ჩინი ელეოდა. შეწუხდნენ მწყემსები, მაგრამ საქონლის ექიმმა ამ ბუღასაც ჯვარი დაუსვა. თურქიამ აქაც გამოიჩინა თავისი უბადლო ოსტატობა, ბუღას ფრჩხილი ამოაცალა და თვალში სინათლე დაუბრუნა. მისი უბრალო ნემსი, როგორც გამოცდილი დასტაქრის დანა, ისე შეუცდომლად აკეთებს ამ საშიშ ოპერაციას.

— ნახე, ბატონო, — ეუტიხიმ პატარა წიგნაკი გაშალა და ფანქრით მიხატულ-მოხატული ჯვრები დამანახვა: — დათვალე, თუ არ გეზარება! აი, ამდენი ძროხა გადავარჩინე თვალის დავსებას! ერთი წუნკალი ბუზი ემტერება კიდევ საქონელს! შეწამლავენ ამ ბაგა-სადგომს, მარა ხანდახან არ შველის, ისე გადაშავდება აქაურობა! მიაციდება ძროხას და საშველს არ მისცემს, სანამ თვალის სინათლეს არ გამოულეკავს. მაგისი საშუალებაც ვიცი, ამ წელიწადში ოთხი სული მოვარჩინე.

ვიდრე საქონელს საბალახოდ გარეკავდეს, თურქია საძოვარ მინდორს ჯერ თვითონ მოივლის და მოათვალიერებს, და თუ სადმე თვალი დაჰკრა მყარალ-ბალახას, ბიჭებს დაუძახებს და გაათიბინებს. ეს მავნე ბალახი მაღალი იზრდება და მაძოვარ ხარ-ძროხას თვალში ჩხვლეტს. შეუჩერებელი ცრემლის დენა ეწყება საქონელს.

მიყვარს ამ კაცთან საუბარი. ერთი-ორი უბრალო სიტყვით ისე ცოცხლად დაგიხატავს თავის ნაფიქრალს თუ ნაჯაფარს, რომ მერე არც ის ბუღა დაგავიწყდება და აღარც ის ძველი გამოხუნებული ამგა.

— ზოგი ასე ფიქრობს, ბატონო, თუ დაიღამებს და ძროხას გვიან მოწველის, ნიგას უფრო გამიხვიხვინებსო. არაა მაგი მართალი! ძროხა ცოტა ადრიანად უნდა მოწველო, რომ მოასწროს და ერთი კიდევ მოინავარდოს მინდორი. როცა რძე არ აწუხებს, მერე ლამის ძოვებას არაფერი ჯობია. სანამ გლეხის ვახშმობა არ მოაწევს, საქონელი ბალახში უნდა იყოს. გარედან შემოყვანილი ჯიშიანი ძროხა პირველ წელიწადს კარგად იწველება, მაგრამ აქაობას ძნელად ეგუება. თუ ძალიან ხელი არ შეუწყავე, ნირი და ნიშატი არ გაუგე, ძალა ეკარგება და წველას უკლებს. რამდენი შვიცი და შავ-ჭრელი ჯიშის ძროხა თანდათან გადაგვარდა და გადაჯიშდა! დიდი ბარაქაიცის რუსეთის ძროხამ, მარა იმას დიდი თავის დაკვრაც უნდა.

გამოცდილმა მესაქონლემ ერთბაშად დაანახვა მგელაძეს ამ საქმის ნამდვილი ძირი და ფსკერი. ჯიშიანი პირუტყვის ნამატმა დაკარგა ღედის თვისება, ცოტა მოიწველა, ხორციც დაჰყარა და ზარალის მეტი არაფერი მოუტანა მეურნეობას. ზარალმა კი კარგი „მოდი და მობრძანდი“ ვერ უთხრა მწყემსებსა და მწველავებს.

უვარგისი ბაგა-სადგომები, უვარგისი საძოვრები, განახევრებული ულუფა, თითქმის არავითარი ტექნიკა... მაგრამ მთავარი ძალა მაინც ადამიანი იყო და ჯერ იმის შრომას უნდა დადებოდა ფასი.

აბაშის ფერმებში კი ყველაფერი ისე იყო არეულ-დარეული და უწესოდ მიშვებული, რომ ნივთიერი წახალისების მეთოდი ასე ერთბაშად ვერ გამოიღებდა ნაყოფს, როგორც სიმინდში და სხვა ერთწლოვან ნარგავებში გამოიღო. მუშა კაცს სამუშაო პირობები თუ არ შეუქმენი, გეგმას მაინც ვერ შეასრულებს, ხელებში ცეცხლიც რომ ეკიდებოდეს. ამიტომ, ცხადია, ვერც პრემიას მიიღებს. ამ პირველ წელიწადს საჭირო იყო რაღაც სხვა ღონისძიება, რომ საქმეზე გულაცრუებულ ადამიანს დაეწახა — მთლად მიტოვებული არა ვარ და ჩემზედაც ფიქრობენო.

ძველი ჩამომპალი შენობების შეკეთება, საძოვრების გაწმენდა-გადახალისება, საკვები მარაგის დაგროვება, ძველი წყალსადენების გამართვა და ახალი მილების ჩაყრა, საფერმო ტექნიკის შეძენა და გაწყობა, — ამას ყველაფერს დიდი ხანი დასჭირდებოდა, ხოლო ამ საქმეების გამკეთებელი კაცი, რა თქმა უნდა, ორმოცდაერთ მანეთად ნაღველას არ ჩაიქცევდა.

ამიტომ რაიკომის ბიუროს წევრებმა მოითათბირეს და ერთი გაბედული ნაბიჯი კიდევ გადადგეს, — ფერმებში დასაქმებულ ყველა მუშას თვეში 150 მანეთი დაუწესეს.

ეს უკვე სამჯერ მეტი იყო მწყემსისა და მწველავის წინანდელ ხელფასზე, და სანამ ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგებოდა, ამ მოულოდნელ სიკეთეს კაცი თავის მხრივ სიკეთეს მიუზღავდა.

ორი წელიწადი დასჭირდა აბაშის ახალ ხელმძღვანელობას, რომ ფერმების მუშაობა ძირფესვიანად გარდაექმნა და შრომის ანაზღაურების ახალ მეთოდს თავისი სიტყვა ეთქვა.

ეს დროც მალე დადგა.

სუჯუნის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა თედორე თელიამ მიამბო:

— ამ სოფელში პირველად რომ ჩამოვედი, არსად ნაჯახის ხმა და ჩაქუჩის კაკუნი არ გამიგონია. არც აგური და ფიცარი დამინახავს სადმე. ერთხელაც არავინ მოსულა, საშენი მასალა მჭირდება და მიშველეო. ღარიბი იყო ჩვენი სოფელი. ახალი სახლი კი არა, უბრალო შიფერს ვერ ყიდულობდა მწყემსი კაცი, რომ წვიმისაგან მომპალი ხის კედელი შეეჭედა. ახლა კი კვირა არ გაივლის, ერთი განცხადება მაინც არ დამიდონ მაგიდაზე.

აგერ მეორე ჩანაწერი, — ეს უკვე ყველაზე დაქცეული მეურნეობის, ზანათის დირექტორმა მითხრა:

„ახლა ჩვენთან ისეთი კაი ხალხი მოდის და სამუშაოს ითხოვს, უწინ ვერც კი გავუბედავდი, მოდი და მეღორედ დადექი მეთქი!“

მეღორეობის ფერმის ბრიგადირმა ალექსანდრე კოკაიამ კი პირდაპირ შემომჩივლა, — ახლა მუშახელი მეტი მყავს, ვიდრე მჭირდება! არავითარი არა და მარა არ გადის მათთან! საღამოს რომ დავითხოვ, დილას გავიხედავ და ეს დათხოვნილი კაცი ისევ ამ საღორეს არ უტრიალებს?! ძალიან გამოაღვიძა ხალხი ამ ჯილდო-პრემიამ!

რა თქმა უნდა, ჯილდო-პრემიამ...

მაგრამ ამ სიკეთეს მესიმინდეობის კომპლექსური ბრიგადების კარგმა მუშაობამაც შეუწყო ხელი. თოხისაგან განთავისუფლებული გლეხკაცი სად წავიდოდა, თუ არა ფერმაში, ბაღჩა-ბოსტანში, ეთერზეთების მეურნეობაში...

მთავარი სათქმელი ჯერ მაინც არ მითქვამს. არა მარტო ჯილდო-პრემიამ და მუშახელის მოჭარბებამ გამართა წელში აბაშის მესაქონლეობა... ამ საქმეში **დიდი წილი** დაიდო გურამ მგელაძისა და მისი უახლოესი თანამშრომლების, რაიკომის ბიუროს წევრების იაკობ კოდუას, იური ჭანტურიას, აკაკი ქობალავას პირადმა თვისებებმა და ხნე-ხასიათმა. შეიძლება ბევრი არ დამეთანხმოს, ეგ რა საბუთი არისო, მაგრამ მერწმუნე მეგობარო, როგორიც კაცია, სოფელიც იმგვარია.

ადრე უკვე ითქვა, რომ ცუდი მოვლა-პატრონობის გამო გარედან შემოყვანილი ძროხები გადაგვარდნენ და ფერმებში უჯიშო პირუტყვი მომრავლდა.

ამიტომ რაიონის მეურნეობებში უწინარეს ყოვლისა სანაშენო ფერმები უნდა შექმნილიყო ჯიშიანი დეკეულის გამოსაზრდელად, მაგრამ საიდან და როგორ? სახელმწიფო გეგმებში ჯერ მათი ლანდიც კი არ ჰაჭანებდა. საძირკველი არ იყო და სახურავი როდისღა იქნებოდა, კაცმა არ იცოდა...

თუმცა, როგორ არ იცოდა!

მალე თერმეტი წელიწადი გახდება, რაც ჩვენი მშენებლები ქალაქ აბაშის საავადმყოფოს აშენებენ და დღემდე ვერ დაუმთავრებიათ. პალატებში კი ავადმყოფები უკვე წვანან და ოღრო-ჩოღრო დერეფნებში თეთრხალათიანი ექიმებიც დადიან.

რასაკვირველია, ამ ხუთწლედში ეს ამბავი არ მოესწრებოდა... რაიკომის ბიუროს კი ყოველი დღე და ყოველი კვირა მამასისხლად უღირდა. ყოყმანი და ლოდინი იმათ გულჯარში არ ეწერა.

მე ხშირად მინახავს ეს ახალი ფერმები და დღემდე მაღელვებს ამ დაუდეგარი ადამიანების ჟინი და გატაცება.

მთელი აბაშა ფეხზე დააყენეს და მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სახსრებითა და საშუალებით, მხოლოდ საკუთარი ძალ-ღონით გამართეს და გაწყვეს ორი სანაშენო ფერმა და ორიც — პირუტყვის გასასუქებელი მოედანი. ინჟინრებიც თვითონ იყვნენ და მუშებიც, ოღონდ არ გეგონოთ, თითქოს ეს საჩქარდახელოდ შეთითხნილი და მიბლანდულ-მობლანდული ბაგა-სადგომები ყოფილიყოს.

დახურული შენობა იყო თუ გაშლილი მოედანი, კილს ვერ უპოვიდა ძალიან მჩხრეკელი თვალიც. აქ ყველაფერი ისე იყო ჩაფიქრებული, დღევანდელ დღეს რომ ეკადრებოდა.

შარშან ზაფხულში აბაშას დასავლეთ საქართველოს რაიკომების ხელმძღვანელები ესტუმრნენ. ეს ახალშენები რომ მოინახულეს და საქონელს თვალი დაჰკრეს, წალენჯიხის რაიკომის პირველმა მდივანმა, გიორგი ნაჭყებიამ დაუფარავად წამოიძახა:

„აქ გულის გასახეთქად ხომ არ ჩამომიყვანეთ, თქვე დალოცვილებო!“

მაშინვე ვუთხარი გიორგის, ამ სიტყვებს არ დაგიკარგავ-მეთქი!.

გიორგიმ ჩაიცინა და მიპასუხა, ჩაიწერე, დასამალავი რა მაქვსო...

აი რა სიკეთე მოაქვს ზოგი ადამიანის პირად თვისებებს, როდესაც იგი იმას კი არ უცდის, ციდან მანანა როდის ჩამოიყრება, არამედ თვითონ გამოიღებს ხელს და სხვებსაც აიყოლიებს.

ამ ახალშენებში ყველაზე მეტად გამოირჩევა ტყვირის კოლმეურნეობის დიდი სანაშენო ფერმა. ამ სახბორემ აბაშის მეურნეობებს ჯიშიანი დეკეული უნდა გამოუზარდოს. ეს კი მეტად ძნელი და თავსატეხი საქმეა. ამიტომ ეს უბანი სწორედ ისეთ ადამიანს ჩააბარეს, ვისაც მთელი აბაშა ენდობოდა.

სოციალისტური შრომის გმირი ელპიტე არველაძე ნამდვილად გაჭირვების ტალკვესი იყო მუდამ. როცა სოფელს ყველაზე ერთგული და ყველაზე თავდადებული ადამიანი დასჭირდებოდა, ხალხი მაშინვე ელპიტე არველაძის სახელს გაიხსენებდა.

ოთხასი სული ხბო და ოთხი მწყემსი გოგონა...

როგორც მკითხველი ხედავს მოსავლელი ბევრია, მომვლელი კი ცოტა, მაგრამ ელპიტე არველაძის კაი ქალობაც ეგ არის, ამ დაკრიალებულ გალიებს და ფერდებჩამრგვალებულ ბოჩოლებს ჯერ მარჯვე ხელი და თბილი გული არ დაჰკლებია.

ხიტყვა ჩამომართვა ელპიტე არველაძემ:

— ოქრო გოგოები მყავს! ახლა ფერმაში ბევრ რამეს მანქანა აკეთებს, მარა ამ ცირებს გაჩერებულს ვერ დაინახავს კაცი. მანქანა მანქანაა. ცოცხალი ხელი კი მაინც სხვა არის! ერთია ოღონდ, ნამეტანი გულმეწვიები არიან, გახდება ავად ხბო და, ყველანი ერთად შემოუსხდებიან ავადმყოფის გალიას, დეიწყებენ ზლუქუნს... შეხედავ ნარგიზას, ღვარღვალა ცრემლი ჩამოსდის ლოყებზე! ვეუბნები, გაჩერდი, გოგო, აბაშას კიდევ წყალი უნდა?! შეიხოცე თვალები და ჩქარა ნემსი მომიტანე! არ ვიცი ჩემი ნემსი შველის, არ ვიცი მაგენის ტირილი და შელოცვა, ჯერ ხბო არ მომკვდომია...

ფერმაში თავდაპირველად სამი კვირის ხბო შემოდის. სამი თვისა რომ გახდება, გალიიდან გამოიყვანენ და საერთო სადგომში მოათავსებენ, ხოლო გაივლის კიდევ სამი თვე და მთელი პირუტყვი გადაირჩევა; მოზვერები და სანაშენოდ უვარგისი დეკეული სასუქებელ ფერმაში გადაჰყავთ, სანაშენოდ გამოსადეგი საქონელი კი ცალკე სადგომში დაბინავდება. აქ დეკეული ხელოვნურად განაყოფიერდება და სახამ ხბოს მოიგებდეს, რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გაეგზავნება. მხოლოდ ამგვარად შეიძლება ჯიშის შენარჩუნება და მომრავლება. ადგილობრივ პირობებში დაბადებული და გამოზრდილი შვიცი და შავ-ჭრელი პირუტყვი კარგად ეგუება კოლხეთის გარემოს.

აი ასეთი რთული კომპლექსი შექმნეს აბაშელმა კომუნისტებმა გარეშე ხელის დაუხმარებლად.

აქაურ პირობებში ეს ნამდვილად გმირობა იყო.

სოფელში ხშირად გამიგონია ერთი ძველებური წყევლა, — შენი არ გცოდნოდეს და სხვისი არ გაგეგონოსო. მე დიდად ვაფასებ ისეთ ადამიანს, ვისაც შეუძლია მოძღვარიც იყოს და მორჩილიც, ოსტატიც იყოს და შეგირდიც, სხვასაც ასწავლოს და სხვისგანაც ისწავლოს. ასეთი ადამიანი პატარა რამეთი არასდროს არ დაკმაყოფილდება, მცირეს არ დასჯერდება, მისი გული და გონება მუდამ ფიქრისა და ძიების კვალზე იქნება შემდგარი.

ის, რაც უკვე გაკეთდა აბაშის მეცხოველეობაში, სწორედ ამ ძიებამ მოიტანა.

რაც შეიძლება ნაკლები ფული და მასალა, რადგან ღარიბები იყვნენ, და რაც შეიძლება მეტი ბუნებრივი პირობები, ტყე და მდინარე, რადგან ეს ყველაფერი უფასო იყო.

(გაგრძელება იქნება).

სურათზე: ხანაშენე დეკეულის ფერმის გამგე სოციალისტური შრომის გმირი ელპიტე არველაძე და ახალგაზრდა მწყემსი-მომვლელი **რუსუდან ფიფია.**

მ. დათიკაშვილის ფოტო („კომუნისტი“).



საუბილეო საჩუქარი

გუშინ ვანის რაიონიდან დედაქალაქის საბაჯრო ქალაქამდე 100 ავტომანქანით 500 ტონა ხილ-ბოსტნეული

რესპუბლიკაში ვანის რაიონის ხახვი ცნობილია. აქაურები კარგად არიან დაფფლებული მისი მოვლა-მოყვანის აგროწესებს. შარშან 4.700 ტონაზე მეტი ხახვი მიჰყიდეს სახელმწიფოს. საიუბილეო წელს გადაწყვიტეს აწარმოონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 5.000 ტონა ხახვი.

მიუხედავად ჭირვეული ამინდისა, მცენარეს არ მოაკლეს მზრუნველი ხელი და ახლა უკვე იმკიან თავიანთი შრომის ნაყოფს.

ვანელი მშრომელები გუშინ ეწვივნენ დედაქალაქს თავიანთი ნახელავით. 500 ტონამდე ხილ-ბოსტნეულით დატვირთული 100 ავტომანქანის კოლონამ თბილისის მშრომელებისათვის მოიტანა ხახვი, ვაშლი, ქლიავი, ადრეული მხახალი, — გვითხრა საუბარში რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. სოხელიამ. საიუბილეო წელს გეგმა-ვალდებულებით სახელმწიფოს უნდა მიეყიდოს 8.100 ტონა ბოსტნეული. მაგრამ არის შესაძლებლობა 10.000 ტონა მივყიდოთ. კურკოვანი ხილის გეგმა-დავალებას — 1.700 ტონას ამ დღეებში შევასრულებთ. საკავშირო ფონდში უკვე გავგზავნა 400 ტონა, გეგმა კი 500 ტონას ითვალისწინებს.

ხილ-ბოსტნეულის სიუხვეში დაწინაურდნენ ვანის მებოსტნეობის (დირექტორი ო. გიორგაძე), ზეინდრის მევენახეობის (დირექტორი ჯ. კოპატაძე) საბჭოთა მეურნეობები, სოფლების კიროვის, ფერეთის, ბზვანის, საპრახიის, დიხაშხოს კოლმეურნეობები. მათი ნახელავი ხილ-ბოსტნეული 15 ივლისიდან თბილისის ხილ-ბოსტნეულის მაღაზიებში იყიდება და მომხმარებლები მისი ხარისხით კმაყოფილნი არიან.

შ. ჭოჭუა.

* * *

სურათზე: ვანის რაიონის მებოსტნეობა-მერძეველობისა და ზეინდრის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების მშრომელთა ნახელავი ბოსტნეულით დატვირთული ავტომანქანები თბილისის ქუჩებში.

გ. სანაია ფოტო.

კოჯე ჯავრიშვილი

გარდაიცვალა შესანიშნავი მოქალაქე და ცნობილი მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სპეციალური საბჭოს თავმჯდომარე, გეოლოგი, მთამსვლელი, ლიტერატორი და ჟურნალისტი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი **კონსტანტინე ვასილის ძე ჯავრიშვილი.**

კ. ჯავრიშვილი დაიბადა 1914 წელს ულან-უდეში. თექვსმეტი წლისა იგი უკვე ითვლებოდა ფუშაობდა მიწის სამუშაოებზე თბილისში. 1936 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მას ნიშნავენ მთიულეთის საძიებო ექსპედიციის უფროსად, შემდეგ მუშაობს ჰიდროგეოლოგიკურ ნაგებობათა ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლად, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაუწყებლის“ პასუხისმგებელ მდივნად.

დიდი სამამულო ომის წლებში კ. ჯავრიშვილი ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების მოძრაობის გაყოფილების უფროსის თანაშემწეა, ნაღმმტყორცელთა დივიზიონის მეთაური, ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის სამთო ბომბადების განყოფილების უფროსი, სადაც, როგორც გამოცდილმა მთამსვლელმა დიდი მრომა გასწია კავკასიონის დამცველ სამთო-მოთხილამურე და მთამსვლელი მებრძოლების მოსამზადებლად.

ომისშემდგომ წლებში კ. ჯავრიშვილი იყო საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მთამსვლელობის კათედრის გამგე, შაბტის უფროსი გეოლოგი, ჟურნალ „დროშის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების, აკადემიის პრეზიდიუმის სწავლული მდივანი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა რედაქციის გამგე. იგი ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ მუშაობას, როგორც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სპეციალურ-გეოლოგიის საბჭოს თავმჯდომარე და ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიოსთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

კ. ჯავრიშვილი 40 წელზე მეტი ხნის მანძილზე ნაყოფიერად მოღვაწეობდა როგორც ლიტერატორი, ჟურნალისტი, მთარგმნელი. 1938-1939 წლებში კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრსა და რესპუბლიკის სხვა თეატრებში იდგმებოდა მის მიერ თარგმნილი ვ. შკვარკინის პიესა „უბრალო გოგონა“, ამავე თეატრის დადგეთით მან თარგმნა ალრეთვე მ. გორკის „ვასა ჟელეზნოვი“, ა. დეინის „ორი ნაპოლეონი“, ტელევიზიისათვის კი ჯ. პრისტლის „დაე ახლა წავიდეს“. იგი ავტორია წიგნებისა: „მთები და ადამიანები“, „მე თბილისელი ვარ“.

კ. ჯავრიშვილის მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ფრანგი კლასიკოსების ნაწარმოებთა თარგმნას: ო. ბალზაკის „მამა გორიო“, ა. კამიუს „მავი ჭირი“ და სხვ. ამავე დროს იგი იყო ჟ. ვერნის მრავალტომეულის redakcio კოლეგიის წევრი და ტომების redaktori. შესანიშნავი ქართულით დაწერილ წიგნებში, ნარკვევებსა და თარგმნებში ჩანდა მისი დიდი ერუდიცია, განათლება, ლიტერატორის ალღო.

კ. ჯავრიშვილი ქართველ მთამსვლელთა იმ ბრწყინვალე თაობის წარმომადგენელი იყო, რომელმაც დიდების შარავანდედით შეამოსა ქართული საბჭოთა ალპინიზმი. იგი იპყრობდა კავკასიონის მწვერვალებს ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეებთან, ლევან გოთუასთან, გოჯი ზურგიანთან და სხვებთან ერთად; როგორც საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და ტურიზმის თბილისის საქალაქო კლუბის გამგეობის თავმჯდომარე აქტიურად მონაწილეობდა ტურიზმის განვითარებაში.

ქართული სპელეოლოგიის განვითარებას კ. ჯავრიშვილმა დიდი ამაგი დასდო. იგი იყო უცვლელი redaktori კრებულისა „საქართველოს მღვიძები და გამოქვაბულთანი“, და წლების მანძილზე, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპელეოლოგიის საბჭოს თავმჯდომარე.

კ. ჯავრიშვილი იყო უალრესად სპეტაკი, გულისხმიერი ადამიანი, რომელიც ქართული მიწის, ერთიანი კულტურის, მწვერვალებისა და გამოქვაბულების, მღვიმეთა სიყვარულით ცხოვრობდა. მისი მეგობრები, თანამებრძოლები, აღზრდილები სათუთად შეინახავენ ამ სიკეთით აღსავსე ადამიანის ნათელ ხსოვნას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი; საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა; საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობა; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სპელეოლოგიური საბჭო; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიოსთა საბჭო; ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგია; საქართველოს გეოლოგიური საზოგადოება; საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება; საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი; საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

რატომ ალარა გვაქვს ტაქსიდერმიული ზოოლოგიური მუზეუმი?

საქართველოს ცხოველთა და ფრინველთა სამყარო არაჩვეულებრივად მრავალფეროვანი და მდიდარია. წარსულში მათს შესწავლასა და დაცვას ემსახურებოდა თბილისში, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შექმნილი პირველი ტაქსიდერმიული ზოოლოგიური მუზეუმი, რომლის მოთავენი იყვნენ მხატვრები — ძმები გიორგი და შოთა ჩლაძეები. აღსანიშნავია, რომ ამ დროს მუზეუმი ერთადერთი იყო მთელ საბჭოთა კავშირში. მისი მუშაობის მიზანი ძირითადად ფაუნის ძვირფასი სახეობების ფიტულების თანამედროვე ტაქსიდერმიული ხელოვნების მიხედვით დამუშავება გახლდათ.

ტაქსიდერმიის რთულ ხელოვნებას იდრე მხოლოდ უცხოელები ფლობდნენ. ისინი საიდუმლოდ ინახავდნენ მის ტექნიკას. ძმებმა დამოუკიდებლად აითვისეს ეგი და საუცხოო მხატვრული ნამუშევრებიც შექმნეს.

მუზეუმში დიდი ყურადღება ეთმობოდა ფაუნის ძვირფასი ჯიშების შესწავლას როგორც მორფოლოგიური თვალსაზრისით, ისე ბიოლოგიური და სასიცოცხლო

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲛᲓᲒᲐᲠᲘ

გარემოს თვალსაზრისითაც. მუზეუმი მომსახურებას უწევდა რესპუბლიკის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს, ამარაგებდა მათ ბიოლოგიისა და ზოოლოგიის მასალებით. ლაბორატორიებში მზადდებოდა ნადირფრინველის ფიტულები, ჩონჩხები და სპირტული პრეპარატები, გალიები, აკვარიუმები სასკოლო ზოოლოგიური კაბინეტებისათვის.

მუზეუმის კარი ფართოდ იყო ღია ნორჩი ნატურალისტების, მოსწავლე ახალგაზრდობის, ბიოლოგიისა და ზოოლოგიის მასწავლებლებისათვის; აქ არ იშურებდნენ დროსა და ენერგიას, რათა დაინტერესებულთათვის შეესწავლებინათ იდრე საიდუმლოებთან მოცული ტაქსიდერმიული ხელოვნება.

ასე გრძელდებოდა რამდენიმე წელიწადს. მაგრამ, სამწუხაროდ, თურმე ტაქსიდერმიულ ხელოვნებას განვითარება არ ეწერა. მით უმეტეს, რომ დღეს ამ საქმის სპეციალისტები მხოლოდ ერთეულებიღა შემორჩენენ მთელს საბჭოთა კავშირში.

აი რას წერდა თავის დროზე ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ლენინგრადელი პროფესორი ლ. პორტენკო:

„დავთვალიერე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებული ტაქსიდერმიული სახელოსნო, რომელსაც ხელმძღვანელობენ გიორგი და შოთა ჩლაიძეები და გავეცანი მათ მუშაობას. სახელოსნო ძალზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. მასში გამოფენილია კავკასიის ცხოველებისა და ფრინველების ფიტულების დიდი რაოდენობა, რომლებიც დამუშავებულია თანამედროვე ტაქსიდერმიული ტექნიკის მიხედვით და შენარჩუნებული აქვს თავდაპირველი სახე. ყველა რესპუბლიკის ცენტრს როდი მოეპოვება მსგავსი სახელოსნოები. თბილისი ამ მხრივ ბედნიერი ქალაქია. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა უდიდესი სარგებლობა მოაქვს ამ სახელოსნოს ახალგაზრდობისა და ბუნების მოყვარულთათვის. სახელოსნო უდიდესი ყურადღებისა და მხარდაჭერის ღირსია. მას შეუძლია მოამზადოს სკოლები თვალსაჩინოების საგნებით. პედაგოგებს აქ შეუძლიათ შეიძინონ ყველაზე საუკეთესო საჩვენებელი მასალა“.

და დღეს, როდესაც სამუზეუმო საქმეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, რაოდენ საწყენია, რომ ტაქსიდერმიული ხელოვნების მიხედვით დამუშავება გახლდათ.

ტაქსიდერმიის რთულ ხელოვნებას იდრე მხოლოდ უცხოელები ფლობდნენ. ისინი საიდუმლოდ ინახავდნენ მის ტექნიკას. ძმებმა დამოუკიდებლად აითვისეს ეგი და საუცხოო მხატვრული ნამუშევრებიც შექმნეს.

ᲙᲐᲠᲢᲣᲠ ᲯᲔᲘᲚᲘ: ᲔᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ

— **საბჭოთა** კავშირში მოგზაურობისას კიდევ ერთხელ დავშუნდი, რა დიდი სარგებლობა შეიძლება მოუტანოს თითეული სახელმწიფოს დაბაბულობის შენელების პოლიტიკამ, რომელსაც ასე აქტიურად უჭერს მხარს თქვენი ქვეყანა, — უთხრა საქინფორძის კორესპონდენტს ცხრა წიგნის, მათ შორის ცნობილი რომანის „აეროპორტის“ ავტორმა არტურ ჯეილმ.

ქვეყნის მთელი რიგი ქალაქების დათვალიერების შემდეგ ამერიკელი მწერალი სამი დღით ეწვია საქართველოს და გაეცნო რესპუბლიკის ცხოვრებას.

ჯეილმ თქვა: დიდ მადლობას ვუძღვნი სსრ კავშირში ჩემი მოგზაურობის მომწყობი, რომლებმაც საშუალება მომცეს საქართველოშიც ჩამოვსულიყავი.

— ეს დიდი კულტურული მემკვიდრეობის მშვენიერი რესპუბლიკაა, სადაც ცხოვრობენ ხალისიანი და კეთილი ადამიანები. მე, მაგალითად, ალმაფრთოვანა ლადო გუდიაშვილისა და ირაკლი ონიაურის შემოქმედებამ და დიდად მოსწარული ვარ, რომ პირადად გავიცანი ეს შესანიშნავი ოსტატები.

თავისი შთაბეჭდილებების შეჯამებისას მწერალმა მოიყვანა ინგლისელი პოეტის ტენისონის სიტყვები: „მე ამის ნაწილი ვარ, რაც გზაზე მხვდება“.

— უკვალოდ არაფერი არ იკარგება, — თქვა ჯეილმ, — არ ვიცი, როგორი ლიტერატურული ფორმით, მაგრამ აუცილებლად აღვწერ ამ მოგზაურობას.

ამერიკელ მწერალს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში. ჯეილმ საპატიო სტუმრების წიგნში ჩაწერა: „მშვიდობას და ბედნიერებას გისურვებთ“.

14 ივლისს მწერალი მოსკოვში გაფრინდა. (საქინფორმი).

* * *

სურათზე: მწერალი არტურ ჯეილი თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

ს. ედიბერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲒᲐᲖᲔ

საბჭოთა კავშირის მეორე ახალგაზრდულ სპორტულ ასპარეზობაზე დამთავრდა სამბისტ მოკიდაგეთა ჩემპიონატი. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა 48 წონიანს კატეგორიაში ს. როსტიაშვილმა და ძმიმე წონაში ნ. ნუგზარიშვილმა ოქროს მედლები მოიპოვეს. სამბისტებმა გუნდურ ჩათვლაში მეოთხე ადგილი დაიკავეს.

გრძელდება ასპარეზობა ძალოსნობაში. მსუბუქ წონაში ჩემპიონი გახდა ნ. პაპიძე. მან ორჯიდის ჯამში 277,5 კილოგრამი დაგროვა. ამავე წონიანს კატეგორიაში ვერცხლის მედალი მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ბ. ჩიოტაშვილმა.

ორას მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურაში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა ჩვენი გუნდის წევრმა ვ. არზუმანოვმა.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲔᲜ...

თბილისში, „დინამოს“ კორტებზე მიმდინარეობს საქართველოს 1977 წლის პირად-გუნდური პირველობა ჩოგბურთში.

ქალთა შორის წარმატებით ასპარეზობენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ალა ივანოვა, სპორტის ოსტატები ნინო თუხარელი და მარინე ელერდაშვილი და სსრ კავშირის ჯოგონათა ნაკრები გუნდის წევრი ლალი ზერეკიძე, რომლებიც ნახევარფინალში გავიდნენ.

ვაჟთა შორის ნახევარფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვეს სპორტის ოსტატებმა ვლადიმერ პერეგუდოვმა, ვიქტორ ბაკშმ და ახალგაზრდა პერსპექტიულმა ჩოგბურთელებმა გია ზამბახიძემ და ედუარდ პოღოსოვმა.

ი. იუნაევი.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲤᲠᲔᲓ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

თბილისის „დინამოს“ მატჩებს ყველაზე მეტი მაყურებელი ესწრება. ამიკამად ასე იყო მოსკოვის „ლოკომოტივის“ სტადიონზე. თამაშს ოცი ათასი მაყურებელი ესწრებოდა. მოსკოვის „ლოკომოტივი“ და თბილისის „დინამო“ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები არიან. ეს მართლაც გაამართლა პირველი ტაიმის ნახევრის თამაშმა. ამ პერიოდში მოწინააღმდეგეებმა შემტევ, ტექმაიან ფეხბურთი აჩვენეს და გასაკვირიც არ არის, რომ მეკარეებს გოგიასა და სამოხინის თავიანთი ოსტატობის ჩვენება მოუხდათ.

მეთორმეტე წუთზე ყიფიანმა გრძელი გადაცემა ჩაიწოდა მარჯვენა მხარეს, ბურთთან იდგა მასპინძელთა სტოპერი ოვჩინიკოვი გაჩნდა, მაგრამ მან ბურთის დამუშავება დროულად ვერ მოასწრო, ამით ისარგებლა ჩელებაძემ, წაართვა ბურთი, შეიჭრა საჯარიმო მოედანში, მოატყუა მეორე მცველი ალექსანდროვიც და მეკარის პირისპირ დარჩენილმა გატანა გოლი. შემდეგ თბილისელები არ ცდილობდნენ თამაშის გამწვეებას და ბურთს ხშირად თავიანთ ნახევარზე ათამაშებდნენ.

რკინიგზელებმა რვა წუთის შემდეგ შეძლეს სასასტო ბურთის გატანა. სიომინი შეიჭრა დინამოელთა საჯარიმო მოედანზე და მცველებთან ორთაბრძოლაში მიწაზე აღმოჩნდა. საკავშირო კატეგორიის მსაჯმა დნეპროპეტროვსკელმა ი. ბალიკინმა პენალტი დანიშნა, რომელიც ოვჩინიკოვმა კარგად გამოიყენა.

ახლა უკვე რკინიგზელები მოერიდნენ რისკის გაწევას. დარჩენილ 70 წუთში ორივე გუნდის კარებთან იყო სახიფათო მომენტები, მაგრამ მცველები სკობხიდნენ თავდასხმებელებს.

თბილისის დინამოელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, კოსტავა (მეკარი), გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ქორძე, გუცაევი (შენგელია), ყიფიანი, ჩელებაძე.

ამ გუნდების დუბლიორთა მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

ᲨᲕᲘᲓᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

ხუთშაბათსა და პარასკევს ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე გაიმართა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მეთოთხმეტე ტურის კიდევ შვიდი შეხვედრა. მოგვყავს მათი შედეგები:

„შახტიორი“ — „კრ. სოვეტოვ“ — 3:0
„ზარია“ — ცსკა — 0:0
„კარპატი“ — „ზენიტი“ — 1:2
„ჩერნომორეცი“ — „დინამო“ მ. — 2:0
„დინამო“ კ. — „პრარატი“ — 3:0
„ტორპედო“ — „ნეფტჩი“ — 0:0
„დნეპრი“ — „კირატი“ — 0:0.

ᲒᲐᲛᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 16 ივლისისათვის

„დინამო“ თბ.	14	7	6	24-12	20
„დინამო“ კ.	13	5	8	21-6	18
„ლოკომოტ“.	14	5	8	1 13-7	18
„შახტიორი“	14	7	3	4 15-8	17
„დინამო“ მ.	14	5	7	2 15-8	17
„ტორპედო“	14	5	7	2 14:10	17
„არარატი“	14	5	5	4 12-12	15
„კირატი“	14	3	9	2 1 2-13	15
„ზენიტი“	14	3	8	3 10-11	14
„ნეფტჩი“	14	2	9	3 14:18	13
„ჩერნომორ.“	13	4	3	6 16-19	11
„დნეპრი“	14	4	3	7 10-19	11
ცსკა	14	1	9	4 10-19	11
„ზარია“	14	3	3	8 10-18	9
„კარპატი“	14	2	5	7 10-16	9
„კრ. სოვეტ.“	14	1	5	8 10-24	7

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ

კულუმბიაში მიმდინარეობს მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირი ბრაზილიის, პერუსა და ბოლივიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მონაწილეობით. პირველ მატჩში ბრაზილიელებმა ანგარიშით 1:0 მოუგეს პერუს ნაკრებს. მეორე შეხვედრა მათ ჰქონდათ ბოლივიელებთან. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებმა მოწინააღმდეგე გამანადგურებელი ანგარიშით — 8:0 დაამარცხეს. 4 ბურთი გაიტანა ზიკომ, თითო კი რობერტომ, ჟელმა, ტონინიომ და მარჩელომ. ამრიგად, ბრაზილიელებმა ტურნირში პირველი ადგილი დაიკავეს და 1978 წლის არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვეს. მეორე საგზურისათვის პერუ და ბოლივია იბრძვის.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

ᲤᲘᲜᲘᲨᲗᲐᲜ ᲐᲮᲚᲝᲡ



მეექვსმეტე ტურში მოწინააღმდეგეები რისკს ერიდებოდნენ. მაგრამ დაფებზე მაინც უკრძრომოსი ბრძოლები მიმდინარეობდა. კუშნირ-კოჩიევის, რიბლი-ბალაშოვის, რადულოვ-ძარიოტის პარტიები მიუხედავად შუაპოვარი ბრძოლებისა, ყაიმით დამთავრდა. ტალი შავებით ეთამაშებოდა კნეჟევიჩს და ორმოცდამეერთე სვლაზე გაიძარჯვა. ბელიავსკი დამაჯერებლად თამაშობდა გეორგიუს წინააღმდეგ და აიძულა რუმინელი დანებებულიყო.

ტურის ცენტრალური შეხვედრა იყო კარპოვ-სმისლოვის პარტია. პარტია გადადგა და კარპოვს მოგებას შანსები აქვს. ასევე ზედმეტი პაიკი და უკეთესი პოზიცია აქვს რომანინშინს ვაპანიანთან გადადებულ პარტიაში. მოგების დიდი შანსები აქვს სმეკალს გადადებულ პარტიაში ტაიმანოვთან, ხოლო ფოგთ-გარსიას პარტია მწვავე პოზიციაშია გადადებული.

თითხმეტი ტურის შემდეგ რომანინშინს 8,5 ქულა აქვს.

Ე. ᲐᲮᲛᲘᲚᲝᲕᲜᲘᲙᲘᲐ —Მ. ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ

სსრ კავშირის საბჭოთა ფედერაციის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ე. ახმილოვსკაია-მ. ჩიბურდანიძის ნახევარფინალური მატჩი დაიწყება 29 აგვისტოდან ესტონეთის დედაქალაქ ტალინში.

ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘ

ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩის მეხუთე პარტია პოლუგაევსკისა და კორჩნოის შორის ვეიანში ყაიმით დამთავრდა.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

□ 18 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — დოკუმენტური ფილმი „რესპუბლიკა ბაიკალის პირზე“ (ფერადი), 11.20 — [illegible] მხატვრული ფილმი „უდიპლომო სასიძე“ (ფერადი), 17.00 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „უკანასკნელი არდადეგები“, 18.25 — განცხადებები, 18.30 — „ვეს-ტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა, 18.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თეთრი დათვების ქვეყანაში“ (ფერადი), 19.10 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.45 — „ეჯიბრებიან ესტონეთის სსრ მშრომელები“ (მოსკოვიდან), 20.30 — ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალის გახსნა „დაე მუდამ იყოს მზე“. გადმოცემა კრემლის ყრილობათა სასახლიდან (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი). ფერადი. კიევიდან.

□ 19 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30—ბავშვებისათვის სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ოქროს აბზინდიანი ფეხსაცმელი“. I სერია (ფერადი. მოსკოვიდან), 11.35 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (ფერადი. მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა, 17.45 — მოსწავლეთათვის — „მეგობრობის კონცერტი“—„იფრინეთ, თეთრო მტრედებო!“. ლიტვის ტელევიზიის პროგრამა (ფერადი), 18.20 — „დეპუტატები და ცხოვრება“, 18.50 — ლიტერატურული გადაცემა — „ა. ჩეხოვი“ (გადაცემა მეორე), 19.35 — „სპორტული მიმოხილვა“, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გადაღების დაწყების წინ“ — პრემიერა, 20.45 — „განვიხილავთ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის პროექტს“ (ფერადი. მოსკოვიდან), 21.00 — კონცერტი, 21.40 — მულტიპლიკაციური ფილმები. „აბა, დამაცადე“ მე-9 და მე-10 გამოშვება. (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — თეატრი და ცხოვრება“ — გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლის „საშოთხის ვაშლების“ განხილვა.

□ 20 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — ბავშვებისათვის სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ოქროს აბზინდიანი ფეხსაცმელი“. II სერია (ფერადი. მოსკოვიდან), 17.00 — „შეხვედრა უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელებთან“, 17.50 — განცხადებები, 17.55 — მოსწავლეთათვის. სატელევიზიო პროგრამა „ცვლა“, 18.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „უზბეკეთის ფერები“, 18.50 — „სახალხო კონტროლის ეკრანი“, 19.20 — კონცერტი, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.35 — „ოქტომბრის მთამაგონებელი მაგალითი“ — პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ა. კუნიალის ინტერვიუ (ფერადი. მოსკოვიდან), 20.50 — „სოციალისტური შეჯიბრების დღიური“ — „ეფექტური შრომის სისტემა“, 21.20 — „საესტრადო პანორამა“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — სატელევიზიო სპექტაკლი „ცოლქმარი ბინას დაეძებს“ — საქართველოს ტელევიზიის დადგმა (ფერადი).

□ 21 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბედნიერი რომ იყო“, 11.40 — „ჩვენი ბიოგრაფია“ — „1956 წელი“ (ფერადი. მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქიმია, 17.45 — განცხადებები, 17.50 — „დამიანი“ — საბრუნავი [illegible] — [illegible] — „[illegible] ...“ (ქართულ ენაზე), 18.10 — „მომმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება“ — ესტონეთი, 18.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.15 — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტელევიზიის პროგრამა, მიძღვნილი პოლონელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის, პოლონეთის აღორძინების დღისადმი (ფერადი. მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 ს. ნასიძე. სიმფონია „ფიროსმანი“, 23.05 — ახალი ამბები.

□ 22 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — მხატვრული ფილმი — „გაზაფხული ზარენაიას ქუჩაზე“, 12.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გმირობა ყოველდღე“, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქიმია, 17.45 — განცხადებები, 17.50 — მოსწავლეთათვის სატელევიზიო ნარკვევი „ზაფხულის დღიურები“, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — „სიმღერის სიყვარულით“ — ინოლა გურგულია (განმეორებით), 18.50 — პარტიული ცხოვრება — „პარტიული რეკომენდაცია“, 19.10 — ლიტერატურული გადაცემა „მეათე მუზა“ (პოლონეთის აღორძინების დღე), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — კინონარკვევი. „ფშობლების პასუხისმგებლობა ბავშვების ჯანმრთელობაზე“, 20.45 — „განვიხილავთ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის პროექტს“ (ფერადი. მოსკოვიდან), 21.00 — „ჩვენი ბიოგრაფია“ — „1957 წელი“ (ფერადი. მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „კინოლექტორიუმი“.

□ 23 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — ბავშვებისათვის — შემეცნებითი სატელევიზიო ჟურნალი „კინომოზაიკა“, 11.05 — თქვენთვის, ფშობლებო! (ფერადი. მოსკოვიდან), 11.35 — მუსიკალური პროგრამა „დილის ფოსტა“ (ფერადი. მოსკოვიდან), 12.00 — ა. ბალანჩივაძის ბალეტი — „მთ